ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

№ 197 (999) პარასკევი, 4 ნოემბერი, 1994 წელი.

ფასი 100,000 კუპონი

ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აფხაზეთის კონფლიქტის საერთაშორისო მისიის წარმომადგენლები

2 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აფხაზეთის კონფლიქტის სახალხო დიპლომატიის საერთაშორისო მუდმივი მისიის წარმომადგენლები დოქტორი ნიკოლოზ დიკო, პროფესორები ალექსი გერასიმოვი, ლიონელ დადიანი, ალა იაზკოვა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეთერ ახტემიროვა, რომლებიც კონფლიქტის ზონაში მოგზაურობიდან დაბრუნდნენ.

მისიის წევრებმა დაწვრილებით გააცნეს ე. შევარდნაძეს ზუგდიდში აფხაზეთიდან ლტოლვილებთან თავიანთი შეხვედრები, რუსეთის სამშვიდობო ძალების საქმიანობა, ესაუბრნენ გალსა და სოხუმში აფხაზ სეპარატისტთა ხელმძღვანელებთან შეხვედრების შესახებ. როგორც ამ საზოგადოებრივი აქციის მონაწილეებმა აღნიშნეს, ისინი პირადად დარწმუნდნენ, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გრძელდება ქართველთა და სხვა ეროვნებების პირთა ეთნიკური წმენდა, დეპორტაცია და მკვლელობები. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ათიათასობით ლტოლვილთა მდგომარეობა, რომლებიც მოკლებული არიან ადამიანური არსებობის ელემენტარულ პირობებს და არა აქვთ საკუთარ სახლებში დაბრუნების შესაძლებლობა. აფხაზთა მხარის მიერ შემოღებული ქალაქ გალში მათი დაბრუნების წესი ლტოლვილთა უმრავლესობას უსპობს დაბრუნების იმედს და გამოუვალ მდგომარეობაში აყენებს მოახლოებული ზამთრის წინ.

ამ პირობებში სასოწარკვეთილმა ადამიანებმა შეიძლება დაიწყონ მასობრივი სტიქიური გადასვლა მდინარე ენგურზე, რასაც გარდუვალად მოჰყვება ახალი სისხლისღვრა.

აქციის მონაწილეთა აზრით, რუსეთის სამშვიდობო ძალები პატიოსნად და ღირსეულად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს, მინიჭებულ მანდატს, უდავოა, სჭირდება მნიშვნელოვანი გაფართოება. ქართველ და აფხაზ ხალხებს, დარწმუნებული არიან მისიის წევრები, შეუძლიათ სრული ნდობით მოეკიდონ მათ. რუსეთმა კი — იამაყოს თავისი შვილებით.

შექმნილი სიტუაციის ყოველმხრივი ანალიზისა და გუდაუთელ ხელმძღვანელთა განცხადებების გათვალისწინებით, მისიის წევრებმა გამოიტანეს დასკვნა, რომ ისინი არ აპირებენ შეასრულონ მათ მიერ ბოლოს ხელმოწერილი ოთხმხრივი შეთანხმებაც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მსოფლიო საზოგადოებრიობამ ამასთან დაკავშირებით ყველაფერი უნდა იღონონ ზემოქმედებისათვის.

საუბრის დასასრულ ე. შევარდნაძემ მისიის წარმომადგენლებსა და მასში შემავალ მეცნიერებსა და დამოუკიდებელ საზოგადოებრივ გაერთიანებათა ლიდერებს გულითადი მადლობა მოახსენა მათი წვლილისათვის.

ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ამერიკელ ბიზნესმენს

3 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ მიიღო ამერიკელი ბიზნესმენი, „ბობ უოლშ ენდ ენტერპრაიზის" კომპანიის მფლობელი რობერტ უოლში, რომელმაც მნიშვნელოვანი ჰუმანური დახმარება გაუწია საქართველოს, განსაკუთრებით, აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ პერიოდში.

ბატონ უოლშის თქმით, ამჟამად საქართველოში ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ დასავლეთის ქვეყნებმა განახორციელონ სხვადასხვაგვარი საინვესტიციო პროგრამები, კერძოდ, ამერიკელი ბიზნესმენები დაინტერესებული არიან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ საქართველოსთან კავშირგაბმულობის, აგრეთვე მსუბუქი, ფარმაცევტული მრეწველობისა და სხვა დარგებში.

ბატონმა ე. შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა ამერიკელ ბიზნესმენს დახმარებისა და თანამშრომლობისათვის და აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება მიესალმება დასავლეთის ინვესტორების ყოველგვარ აქტიურობას და მზად არის შეუქმნას მათ პერსპექტიული, კონკრეტული საინვესტიციო პროგრამების განხორციელების ყველა პირობა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური — საქინფორმი.

ამერიკული ორგანიზაცია საქართველოში სიმინდის თესლის გამომყვან ქარხანას ააშენებს

2 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ცნობილი ამერიკული ორგანიზაცია „ოპიკის" დირექტორთა საბჭოს წევრს ჯონ კრისტალს. აღნიშნული ორგანიზაცია აქტიურად ეხმარება საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეს. ცდილობს დანერგოს ჩვენში ამერიკული ტიპის ფერმერული მეურნეობა, რისთვისაც ამერიკაში სასწავლებლად უკვე მიავლინა რამდენიმე ქართველი ფერმერი. სტუმრის ამჟამინდელი ვიზიტის მიზანია საქართველოში სიმინდის თესლის გამომყვანი ქარხნის აშენება, რომლის ნაყოფიერება წელიწადში 5 ათას ტონამდე იქნება.

შეხვედრაზე ბატონ ჯონ კრისტალს ახლდა ფონდის „დემოკრატია და აღორძინების" თავმჯდომარე სოლიკო ხაბეიშვილი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამსახური — საქინფორმი.

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადება

პარასკევს, 4 ნოემბერს, 14 საათზე პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება საპარლამენტო უმრავლესობის საბჭოს გაფართოებული სხდომა ზამთრის სეზონისათვის მზადებასა და პურპროდუქტებით მოსახლეობის მომარაგებასთან დაკავშირებით.

მოწვეული არიან რესპუბლიკის ვიცე-პრემიერები ზურაბ კერვალიშვილი, ავთანდილ მარგიანი და თბილისის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი.

შაბათს, 5 ნოემბერს, 12 საათზე გაიმართება უმრავლესობის საბჭოს შეხვედრა ეკონომიკური რეფორმების უზრუნველყოფის შტაბთან, ვიცე-პრემიერ თეიმურაზ ბასილიასთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენელთან ბატონ ვალავისთან.

ორშაბათს, 7 ნოემბერს, 14 საათზე გაიმართება საპარლამენტო უმრავლესობის სხდომა.

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი

მომზადდება ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქცია

პირველ ნოემბერს „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების გამგეობის განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბოლო წლებში საქართველოში შექმნილი მძიმე საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გამო „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამა" დავიწყებას მიეცა და საჭიროა იგი დაუყოვნებლივ ამოქმედდეს.

ამ საკითხთან დაკავშირებით მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური განმარტავს, რომ მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ი. მენაღარიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის სხდომა. დაისახა სათანადო ღონისძიებანი ქართული ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველყოფისა და ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ახალი რედაქციის მოსამზადებლად.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური — საქინფორმი.

უკრაინის ელჩი დასავლეთ საქართველოში მოგზაურობს

უკრაინის ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში ანატოლი კასიანენკო მივლინებით გაემგზავრა დასავლეთ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. იგი ჩავა ხობში, ზუგდიდში, ფოთსა და ოზურგეთში. დასავლეთ საქართველოს რაიონებში ყოფნისას იგი გაეცნობა სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას ადგილებზე, ქალაქებისა და რაიონების, აგრეთვე საკუთრების სხვადასხვა ფორმის საწარმოთა ხელმძღვანელებთან გამართავს შეხვედრებსა და მოლაპარაკებებს უკრაინისა და საქართველოს საწარმოებსა, ქალაქებსა და რაიონებს შორის ახალი სამეურნეო და სავაჭრო კავშირების ჩამოყალიბების, ორივე ქვეყნის მრეწველთა და მეწარმეთა საქმიანი შეხვედრების გამართვის საკითხებზე.

უკრაინის საელჩოს პრესსამსახური.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტში

დღევანდელობის მოთხოვნა საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებაა

ამ ბოლო ხანს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის პრაქტიკულად თითოეული სხდომა იწყება რესპუბლიკის ენერგეტიკულ კომპლექსში საქმის ვითარების განხილვით. და ეს გასაგებიცაა, რადგან სათბობისა და ელექტროენერგიის უმწვავესი დეფიციტის პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არსებული რესურსების რაციონალურ, ეკონომიურ ხარჯვას, რათა ამით უზრუნველვყოთ თუნდაც ქვეყნის მინიმალური მოთხოვნილებანი მომავალ, როგორც ყველაფრიდან ჩანს, ძნელ ზამთარში. და აი, ახლაც 2 ნოემბერს გამართულ მინისტრთა კაბინეტის მორიგ სხდომაზე, რომელიც პრემიერ-მინისტრის ოთარ ფაციაცის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, დღის წესრიგის პირველ პუნქტად შეტანილი იყო ინფორმაცია, თუ როგორ არის დაცული ქალაქ თბილისში ელექტროენერგიის მოხმარების დადგენილი ლიმიტი, როგორ იფარება დებიტორული დავალიანება მასზე.

უნდა ითქვას, რომ სწორედ ეს საკითხი იყო მინისტრთა კაბინეტის წინა სხდომაზეც პრინციპული და მომთხოვნელი სჯა-ბაასის საგანი. მაგრამ, როგორც წარმოდგენილი ინფორმაცია მოწმობს, გასულ კვირაში რაიმე არსებითი ძვრა ელექტროენერგიის მოხმარებაზე ლიმიტის დაცვაში, როგორც დედაქალაქში, ისე მთლიანად რესპუბლიკაში, სამწუხაროდ, არ მომხდარა. „საქენერგოს" დეპარტამენტის უფროსის მოადგილის ვაჟა მეტრეველის მიერ მოყვანილი მონაცემებით, ოქტომბერში ელექტროენერგიის საშუალო-სადღეღამისო ხარჯვამ რესპუბლიკაში 19 მილიონი კილოვატსაათი შეადგინა, რაც ორი მილიონით აღემატება დადგენილ ლიმიტს. ნორმით გათვალისწინებულ 140 მეგავატს შესამჩნევად გადააჭარბეს თბილისშიც, რომლის წილად მოდის ელექტროენერგიის მთელი გადამეტხარჯვის თითქმის ნახევარი. მართალია, ქალაქის ხელისუფლებმა დასვეს საკითხი, რომ რესპუბლიკის დედაქალაქს გაზრდოდა ლიმიტი 200 მეგავატამდე, რადგან უკანასკნელ ხანს თბილისში, ბოლოს და ბოლოს, ამუშავდა მთელი რიგი საწარმოები, მაგრამ ამ თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებლად ვერ ცნეს. ბუნებრივი გაზის უკმარისობის გამო სულ 120 მეგავატს აწარმოებს ახლა დღე-ღამეში თბილისის სრესი. 40 მეგავატის დონეზე მუშაობს ენგურჰესი, უკეთესად როდია საქმე სხვა ელექტროსადგურებშიც. როგორც პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ზურაბ კერვალიშვილმა აღნიშნა, რომელიც სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით ქვეყნის უზრუნველყოფის რესპუბლიკურ შტაბს მეთაურობს, ელექტროენერგიის გამომუშავება რესპუბლიკაში ამჟამად დღე-ღამეში არ აღემატება 14 მილიონ კილოვატსაათს. დანარჩენი 5 მილიონი კილოვატსაათი მოდის აზერბაიჯანიდან. ელექტროენერგიით სარგებლობაზე ტარიფების მომატებასთან ერთად მკვეთრად გაიზარდა დებიტორული დავალიანებაც. ამიტომ თბილისში საჭირო გახდა მიეცათ გარკვეული შეღავათები მომხმარებლებისათვის, რათა თუნდაც მინიმალურად დაფარულიყო ეს დავალიანება.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ელექტროენერგიით მომარაგების საქმე მეტად მძიმედ გამოიყურება. და, როგორც სხდომაზე აღინიშნა, თუ ახლავე მკაცრად არ დავიცავთ მისი მოხმარების ლიმიტს, ზამთრის ცივ თვეებში ეს შეიძლება მეტისმეტად გამწვავდეს. ამასთან დაკავშირებით, მთელი პრინციპულობით დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა უწინარეს ყოვლისა განმტკიცდეს საშემსრულებლო დისციპლინა უცილებლივ ყველა დონეზე. რაც შეეხება თბილისს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ სწორედ დედაქალაქი უნდა გახდეს რესპუბლიკის ყველა რეგიონისათვის ელექტროენერგიის ეკონომიკური, ყაირათიანი ხარჯვის მაგალითი. ჯერჯერობით კი მინისტრთა კაბინეტმა არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია კაბინეტთან შექმნილი რესპუბლიკური შტაბის მუშაობა, რომელიც წყვეტს სათბობ-ენერგეტიკული უზრუნველყოფის საკითხებს, და მოსთხოვა განახორციელოს სახელმწიფოს მეთაურის შესაბამისი ბრძანებულება და მთავრობის დადგენილებანი ამ სფეროში. აღინიშნა, რომ პასუხი უნდა აგებინონ როგორც ენერგეტიკული სამსახურების, ისე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებიც უშვებენ ელექტროენერგიის გადამეტხარჯვას. სხდომის დამსწრე საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილემ ვახტანგ რჩეულიშვილმა აღნიშნული შტაბის ხელმძღვანელობა მიიწვია საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე ამ პარასკევს, რათა ერთად განიხილონ შექმნილი არცთუ უბრალო ვითარება და დასახონ ამ ვითარებიდან გამოსვლის გზები.

თუ რამდენად საჭიროა ამაღლდეს საშემსრულებლო დისციპლინის დონე, სჯა-ბაასი გაგრძელდა სხდომაზე იმ საკითხის განხილვის დროსაც, რომელიც ეხებოდა მიმდინარე წლის ცხრა თვეში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან საქართველოს სამთავრობათაშორისი სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულებების შესრულებას. აღინიშნა, რომ ასეთი ხელშეკრულებები დადებულია საბჭოთა კავშირის ექვს ყოფილ რესპუბლიკასთან — რუსეთთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან, თურქმენეთთან, სომხეთთან და აზერბაიჯანთან, რომელთა მიხედვით ძირითადად საქართველოს კლირინგის საფუძველზე უნდა მიეწოდებინა 175 დასახელების 367,74 მილიონი ამერიკული დოლარის ღირებულების პროდუქცია. იმავე ხელშეკრულებათა მიხედვით, საქართველოში პროდუქციის მოწოდების მოცულობა შეადგენს 454.5 მილიონ დოლარს. მაგრამ, როგორც სხდომაზე რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრმა მურთაზ ზაქალიანმა აღნიშნა, საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გაღრმავების გამო ამ სავაჭრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებათა შესრულება მეტად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. 9 თვის მანძილზე საქართველომ გაგზავნა სულ 43,9 მილიონი დოლარის პროდუქცია, ანუ სახელშეკრულებო ვალდებულებანი 11,9 პროცენტით შეასრულა. უკეთესად როდია ჩვენი პარტნიორებისგან მოწოდების საქმეც. თურქმენეთის გარდა, თითქმის მოწოდება შეწყდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებიდან. რუსეთიდან შემოტანილი იყო სულ 1.116 მილიონი დოლარის პროდუქცია, ხოლო სომხეთიდან — 0,132 მილიონი დოლარისა. რაც შეეხება პირდაპირ სამეურნეო კავშირურთიერთობას, საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, ამა წლის 8 თვის მანძილზე აზერბაიჯანში გატანილია 33 ტრილიონი კუპონის პროდუქცია. იქიდან კი შემოტანილია სულ 4 ტრილიონი კუპონისა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებების მოსამზადებლად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან 1995 წლისათვის, რომელთა პროექტები რვა ქვეყანას დაეგზავნა.

გააანალიზა რა შექმნილი ვითარება, მინისტრთა კაბინეტმა მიზანშეწონილად ცნო წლის დამლევამდე დარჩენილ დროში მთავარი ყურადღება დაეთმოს თურქმენეთისა და რუსეთის დავალიანების დაფარვას. ამის შესაბამისად განისაზღვრა ამ ქვეყნებში შესაბამისი პროდუქციის მიწოდების უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებანი. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა დადგინდეს ზუსტი სავაჭრო ბალანსი ყველა პარტნიორ ქვეყანასთან.

საშემსრულებლო დისციპლინის დაბალ დონეს, მთავრობის დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შეუსრულებლობას მოწმობს საქართველოს მწერალთა კავშირში შექმნილი საქმის ვითარებაც. როგორც ამ კავშირის თავმჯდომარის გურამ ფანჯიკიძის ინფორმაციაში იყო ნათქვამი, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სპეციალური დადგენილების მიუხედავად, ეს შემოქმედებითი კავშირი ფაქტობრივად მოკლებულია ყოველგვარ მატერიალურ ბაზას, რამაც განაპირობა კიდეც ის, რომ თითქმის შეწყდა ლიტერატურული ჟურნალების გამოსვლა. არ არის სახსრები კავშირის ავარიული შენობის რესტავრაციისათვის, შენობისა, რომელიც უნიკალური არქიტექტურული შედევრია. ამასთან დაკავშირებით სხდომაზე აღინიშნა, რომ, დიდი ეკონომიკური სიძნელეების მიუხედავად, რასაც ახლა ქვეყანა განიცდის, უნდა გამოძებნონ შესაძლებლობანი, რათა თუნდაც იარსებონ ლიტერატურულმა გამოცემებმა, გადაარჩინონ ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში აგებული შენობა და შემოუნახონ იგი შთამომავლებს.

მიღებულია გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტთან შეიქმნას ბიზნესის განვითარების სახელმწიფო საკოორდინაციო-საკონსულტაციო ჯგუფი. მისი მიზანი ის არის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ქვეყნის სამეურნეო და საექსპორტო პოტენციალი, დაძლიონ სახელმწიფო და კერძო ბიზნესს შორის არსებული წინააღმდეგობანი, გაზარდონ კერძო ბიზნესის ხვედრითი წილი ეროვნულ ეკონომიკაში. გადაწყდა აგრეთვე საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ გამოცხადებული სტიქიურ უბედურებათა შემცირების საერთაშორისო ათწლეულის მოწყობის საქართველოს ეროვნული კომიტეტი. მინისტრთა კაბინეტმა მიიღო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის წინადადება ქართული ემიგრაციის მუზეუმის შექმნის შესახებ. განიხილა რესპუბლიკის ცხოვრების სხვა საკითხები.

პარლამენტარის აზრი

სათქმელს გვიან, მაგრამ მაინც ვიტყვი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის ფრაქცია „კონსერვატორების" მიერ სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის გადადგომის საკითხის დასმის გამო 29-30 სექტემბერს გამართულ საპარლამენტო დებატებზე, მრავალ კოლეგასთან ერთად, არც მე მომეცა გამოსვლის საშუალება, მაგრამ ჩემი სათქმელი მაინც უნდა ვთქვა.

ამომრჩევლებს სამართლიანად მიაჩნიათ, რომ პარლამენტში დაპირისპირება და კონფრონტაცია ქვეყნის ძალებს, აფხაზეთის საკითხისა და ბევრი სხვა პრობლემის გადაწყვეტას უშლის ხელს. მათ აინტერესებთ ის, თუ რა აფორიაქებს ოპოზიციონერებს, რა ვერ გაიყვეს, მით უმეტეს, როცა თბილისი იწვოდა, ისინი ხომ ბარიკადების ერთ მხარეს იდგნენ, ახლა რა მოხდა, მართლა მარტო საქართველოს მომავლით არიან შეშფოთებული?

ერთი დასკვნის გამოტანა აქედანვე შეიძლება, სხვათაგან განსხვავებით. ქართველები ერთობ ორიგინალურები ვართ: ხშირად ჩავდივართ იმას, რაც ჩვენს ქვეყანას, ჩვენ ერს ვნებს. თანაც, ჯერ ვმოქმედებთ და შემდეგ ვიწყებთ ფიქრსა და ანალიზს, რაში შევცდით. ამჯერადაც ასე მოგვივიდა, კონსერვატორები სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის საკითხს აყენებდნენ, სამაგიეროდ რას გვთავაზობდნენ (ოპტიმალურ ვარიანტს იქნებ მეც დავთანხმდებოდი)? მაგრამ საქმე ის არის, რომ მათ ნაკლებად აინტერესებდათ, თუ რა მოჰყვებოდა ამას, ამ დუხჭირ ყოფაში ხომ სწორედ ასეთი მოუზომავი ნაბიჯების გამო ვართ!

ეროვნულ მოძრაობაში დაღლილ კოლეგებსა და მათთან მიტმასნილთ ვეკითხები: ისინი დღევანდელი ხელისუფლების უკმაყოფილონი არიან, მაგრამ უფიქრიათ კი, ჩვენ თუ მოგვწონს ნგრევის ის პროცესი, რომელიც მათ დაიწყეს და დღეს ველარ ვაჩერებთ, გაუანალიზებიათ თუ რა საწარმოო საშუალება ჰქონდა ქვეყანას 1990 წლამდე და რისი პატრონი ვართ დღეს?

დღევანდელი საპარლამენტო მოუსვენრობა, რომელიც ხშირად ქაოსში გადაიზრდება ხოლმე, ალბათ იმითაც არის განპირობებული, რომ ბევრმა ჩემმა კოლეგამ პარლამენტში მოსასვლელად ძალიან მოკლე და ადვილი გზა განვლო, ბატონ ედუარდის ბრალი სწორედ ის არის, რომ პარლამენტის არჩევნების დებულებაში ისეთი გამონაკლისები დაუშვა, რასაც სხვა შედეგები არც შეიძლება მოჰყოლოდა. ბატონი „კონსერვატორები" ხომ ბლოკ „მშვიდობის" წყალობით შემოვიდნენ პარლამენტში. მაშ ასე მალე რატომ დაივიწყეს, რომ ამ ბლოკის „ლოკომოტივი" ედუარდ შევარდნაძე იყო? ამბობენ, არჩევნების დროს ბლოკმა „მშვიდობამ" გაცილებით მეტი ხმები დააგროვა, ვიდრე ფაქტობრივად დაფიქსირდა საბოლოოდ და ეს ხმები სხვადასხვა პარტიებზე გადანაწილდა, რათა ზოგიერთები პარლამენტსგარეთ არ დარჩენილიყვნენ. მერედა, დააფასეს სიკეთე? უმადურები ბრძანდებით, ბატონებო!

სახელმწიფო მეთაურის მიმართ ჩვენც გვაქვს სასაყვედურო, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მისი გადადგომა მოვითხოვოთ, არც ჩვენ გვაკმაყოფილებს ის, რომ პარლამენტის ბევრი გადაწყვეტილება არ სრულდება, კერძოდ, არაფერი გააკეთა იმ საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც რუსეთის არმიის ახალციხისა და სხვა დივიზიების გაძარცვის, ტექნიკისა თუ სხვა სიმდიდრის განიავების ბედი უნდა გაერკვია. ეს შეიარაღება, საბრძოლო მასალები ქვეყანას ჰაერივით სჭირდებოდა! გვაინტერესებს ისიც, თუ რატომ არ შესრულდა საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 23 ნოემბრის № 65 დადგენილება კომისიის შექმნის თაობაზე, რომელსაც იმ პარლამენტართა და სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავეთა საკითხი უნდა გაერკვია, ვინც თავის დროზე სუკის დავალებას ასრულებდა: არ გამოაშკარავდნენ ის „აგენტები", რომელთა გამხეურება ვითომც აინტერესებდათ ვიღაცეებს, მაგრამ როგორც კი დადგენილებით საპარლამენტო კომისიის შექმნა გადაწყდა, ბევრი ჩაჩუმდა. ბოლომდე არ გაიშიფრნენ ის პარლამენტარები, რომლებმაც ხელი მოითბეს სახელმწიფო სესხებით, ამას თავიდან ავიცილებდით, სახელმწიფოს მეთაურს მხარი რომ დაეჭირა პარლამენტის იმ ნაწილისათვის, ვინც მოითხოვდა „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" კანონში შეტანილიყო მუხლი, რომლითაც პარლამენტის წევრს კომერციულ საქმიანობაში პირდაპირ თუ არაპირდაპირ მონაწილეობა ეკრძალებოდა. ეს მოთხოვნა ბევრ ჩემს კოლეგას არ აძლევდა ხელს. ეს ხალხმაც ძალიან კარგად იცის და ჯერ ითმენს.

ახლა ისევ სახელმწიფოს მეთაურის გადადგომის მსურველთ მინდა ვკითხო: გიფიქრიათ, რომ სახელმწიფოს მეთაურის გადადგომას პარლამენტის დაშლაც მოჰყვება? ეს პარლამენტი, ავია თუ კარგი, თავის თავდარ დანიშნულებას მაინც ასრულებს. დაიშლება პარლამენტი და მრავალი ბედის მაძიებელი და სავარძლის მაძიებელი წამოყოფს თავს, პროცესები უმართავი გახდება და გამორიცხული არ არის, რომ კვლავ სამოქალაქო ომამდე მივიდეთ.

ვიზიარებ ჩვენი ოპონენტის ბატონ ივლიანე ხაინდრავას საპარლამენტო დებატების დროს გამოთქმულ აზრს, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტი და ბევრი სამინისტრო ხშირად თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ ასრულებს, ყოვნდება ხელისუფლების დეცენტრალიზაციის პროცესი, ქვეყნის მმართველობითი აპარატი და ბიუჯეტი თავკომბალას დაემსგავსება და მუშაობის ეფექტიანობაზე მსჯელობა უხერხულიც კია.

აღარ შეიძლება გაგრძელდეს პერიფერიისადმი, განსაკუთრებით სოფლისადმი მომხმარებლური დამოკიდებულება. არადა, საქართველო აგრარულ-სამრეწველო ქვეყანაა და დღევანდელი გაჭირვებიდან, უპირველესად ყოვლისა, სოფელმა უნდა გამოგვიყვანოს. ბევრს ამის მოსმენაც არ სურს. თვალსაჩინოებისათვის: პარლამენტის 30 ივნისის გადაწყვეტილებით, 1,5 ტრილიონი კუპონი იქნა გათვალისწინებული მეჩაიეთა შრომის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის. სწორედ ცენტრში, აღმასში მომხმარებლური დამოკიდებულება. ამ საკითხისადმი ზერელე მიდგომა, უყურადღებობა, აგდებული დამოკიდებულება მოსახლეობას, სოფლის წარმომადგენლებს აღიზიანებს. მივმართოთ მაგალითებს.

ამას წინათ საპარლამენტო შეკითხვა დავსვი: საქართველოს პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 16 მაისის № 387 განკარგულების შესაბამისად, ქალაქის მოსახლეობას ევროგაერთიანების მიერ საქართველოს რესპუბლიკაზე გამოყოფილი კრედიტებით შეძენილი მარგარინი 250 ათას კუპონად მიეყიდა. ამ დროს მარგარინის ეს პარტია მეჩაიეებს გაეგზავნათ როგორც დასაქონლება და კილოგრამი მარგარინი 650 ათას კუპონად მიეყიდათ. რამ განაპირობა ასეთი განსხვავება?

ამ შეკითხვაზე მივიღე პასუხი, სადაც ნათქვამია, რომ მარგარინის ნაწილის რეალიზაცია (კილოგრამი 650 ათას კუპონად) მოახდინა ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების სამინისტრომ, საიდანაც გარკვეული რაოდენობა გათვალისწინებული იქნა მეჩაიეებისათვის. წერილის ავტორი მამშვიდებს, მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 28 თებერვლის № 124 დადგენილებით ჩაის ჩამბარებლებისათვის (მეჩაიეებისათვის) 13 პროცენტის კვოტა გამოიყო, იგი თურმე საშუალებას იძლევა ბარტერული წესით შემოვიტანოთ სურსათი, სამრეწველო საქონელი და ამით ნაწილობრივ ანაზღაურდება მეჩაიეთა შრომაო. მე რა საკითხს ვაყენებდი და რა მპასუხობს? რას ვამადლით მეჩაიეს, მის მიერ წარმოებული ჩაის პროდუქციიდან 13 პროცენტი რომ დავუთმეთ?

მეორე მაგალითი. დავაყენე საკითხი, თუ რით იყო გამართლებული ასეთი ფაქტი: თურქმენეთიდან მიღებულ გაზს გამოიყენებს რუსთავის აზოტის ქარხანა, დავალიანების დასაფარავად მეჩაიეები თურქმენეთში ჩაის პროდუქციას აგზავნიან, ამ დროს კი მეჩაიეებს აქ გამომუშავებული აზოტოვანი სასუქი მაღალ ფასებში მიეყიდებათ, ხოლო იგივე პროდუქცია — აზოტი შედარებით დაბალ ფასებში იგზავნება თურქმენეთის რესპუბლიკაში.

საქვეყნო საქმისადმი უნიათო დამოკიდებულების მიზეზი ალბათ, ისიც არის, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში აღმასრულებელ ორგანოებსა თუ უწყებრივ სამინისტროებში. მრავალი მოხელე მხოლოდ თავისი პირადი საქმეებით არის გართული. დადგა დრო, მივიღოთ კანონი, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურებში ხელმძღვანელ პოსტებზე მომუშავე ადამიანებს აუკრძალავს კერძო სტრუქტურებში საქმიანობას.

ქვეყანაში, რომელსაც იდეოლოგია არ გააჩნია, ქაოსი გარდაუვალია ჩარჩენილი ფსიქოლოგიისა და ქურდული იდეოლოგიის სახელმწიფო დონეზე აყვანა შედეგს არ მოგვცემს. პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან არაერთგზის გაცხადდა, „საბჭოთა ორდენოსნებს გუშინდელი ნაციხრები მირჩევნია". რატომ გვავიწყდება, რომ ყველა ორდენოსანი მარქსისტული იდეების პროპაგანდისათვის არ დაჯილდოებულა, ორდენებს ისინიც იღებდნენ, ვინ ქვეყნის სასიკეთო საქმეს აკეთებდა, აშენებდა და პატივს მივაგებთ იმ ადამიანებს, რომლებიც პოლიტიკური მრწამსის გამო იხდიდნენ სასჯელს, მაგრამ, აი, ყაჩაღი ყველა დროისათვის მიუღებელია!

პარლამენტში წამოჭრილ საკითხებს მთავრობა მეტი ყურადღებით უნდა ეკიდებოდეს. უყურადღებობის არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლია. პარლამენტის ტრიბუნიდან 19 და 26 [illegible] ვითხოვე, რომ განათლების მინისტრს თამაზ კვაჭანტირაძეს და ვიცე-პრემიერს ირაკლი მენაღარიშვილს განემარტათ თუ რა ღონისძიებებს ამზადებდა მთავრობა პედაგოგიური საზოგადოების სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად (ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო პედაგოგთა საპროტესტო აქციები). ეს თხოვნა სამწუხაროდ, თავის დროზე არ შესრულდა, მაგრამ ახლახან ბატონი თამაზი აჭარას ეწვია და ბევრი საკითხი ადგილზე გაირკვა. რაც შეეხება აჭარას, აქ წლეულს 58 ათასი დოლარი დაიხარჯა, მოსწავლეთა სახელმძღვანელოების შესაძენად და უფასოდ დასარიგებლად.

იმ დღეებში ჩემთვის და ჩემი ფრაქციის წევრებისათვის მისაღები არაერთი აზრი გამჟღავნდა, ვეთანხმები ბატონ რ. ჯაფარიძისა და სხვათა აზრს, რომ დეპუტატი თავის ეჭვმიუტანელ სიმართლეს კი უნდა ამტკიცებდეს, მაგრამ სადეპუტატო იმუნიტეტს არ უნდა ეფარებოდეს. ვერ გავიზიარებ აზრს, რომ ედუარდ შევარდნაძეს მხოლოდ ის დეპუტატები უჭერენ მხარს, რომლებიც თანამდებობაზე მუშაობენ და ამ თანამდებობის დაკარგვისა ეშინიათ. მეც თანამდებობის პირი ვარ, მაგრამ არაერთგზის გამიცხადებია საჯაროდ: თუ არჩევანზე მიდგა საქმე, დავრჩები საქართველოს პარლამენტის წევრად, იქ, სადაც ხალხმა ამირჩია.

ახლა, შეთავსებით მომუშავე პარლამენტართა შესახებ, ისინი 17 კი არა, როგორც ითქვა, არამედ 70-ზე მეტია, ვისი თანამდებობაც სტატუსის მიხედვით, პარლამენტის წევრობასთან თანამდებობრივად შეუთავსებელია. თუ ამ 70 კაცს გაუშვებენ, პარლამენტი უნდა დაიშალოს და მაშინ არა მგონია ბევრი ვინც ამ საკითხს აყენებს, მეორეჯერ აღმოჩნდეს პარლამენტში, ვერ გავიზიარებ ერთი ორატორის მოსაზრებას, თითქოს საპარლამენტო უმრავლესობა არ არსებობს, დიახ, არსებობს საპარლამენტო უმრავლესობა, არსებობს; მისი ერთგულია მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების აბსოლუტური უმრავლესობა და პროპორციული წესით პარლამენტში შემოსული მრავალი კოლეგა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ საპარლამენტო უმრავლესობაშიც არის უმცირესობა, რომელიც ხშირად პოლიტიკურ თამაშს ეწევა. მაგრამ საერთო შედეგებზე გავლენას ვერ ახდენს.

საპარლამენტო ისტერიის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ პარლამენტი მოსახლეობას მოსწყდა, პარლამენტარები ცუდად იცნობენ ხალხის განწყობას, საჭიროა ხალხთან მისვლა, რასაც აქამდე მოქმედი საპარლამენტო რეგლამენტის გამო, პარლამენტარები ვერ ახერხებდნენ, ახლახან მიღებული საპარლამენტო მუშაობის რეგლამენტით ეს ვაკუუმი ამოივსება, რადგან იგი მუშაობის ორკვირიან ციკლს ითვალისწინებს, ერთი კვირა ეთმობა პლენარულ სხდომებს, მეორე — კომისიებსა და ამომრჩევლებთან მუშაობას. იმედია, რაიონებში შექმნილ საპარლამენტო წარმომადგენლობათა სარეგისტრაციო ჟურნალებში პარლამენტართა ახალი სახელები გაჩნდება, იმათი ვინც ადგილებზე მოსახლეობას შეხვდება, მოისმენს პრეტენზიებს, გაეცნობა, თუ როგორ მუშაობს ჩვენს მიერ მიღებული კანონები ან როგორ გადის დამუშავებასა და ადაპტაციას ის კანონპროექტი, რომელიც მომავალში უნდა მივიღოთ. ალბათ, მოუწევთ უპასუხონ, თუ რატომ ფერხდება რეფორმები, რატომ ჭიანურდება კანონების მიღება, მაგალითად, საადგილმამულო კანონისა, რომელსაც ხალხი მოუთმენლად ელის. ალბათ, იმასაც უკეთ გაიცნობიერებენ, თუ რა მოჰყვა 1992 წლის 18 იანვრის დადგენილებით 365 ათასი ჰექტარი მიწის აჩქარებულ განაწილებას და სხვ.

დაბოლოს, იმაზეც ვიფიქროთ ყველამ, ცენტრი იქნება თუ პერიფერია, რომ დღეს სახელმწიფო აღმასრულებელი ორგანოები თავიანთ როლს ვერ ასრულებს, მიმდინარეობს მოსახლეობის თავის გადარჩენის თვითრეგულირების პროცესი, ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა (არა მარტო პედაგოგები!) ფაქტობრივად უხელფასოდ რომ მუშაობს.

ამას დაპირისპირება და კონფრონტაცია არ უშველის, ყველამ ერთად უნდა ვეძებოთ შრომისა და პროდუქციის შექმნის გზები, ქვეყანას შველა სჭირდება, ბატონებო!

თამაზ ცინცაძე,
საქართველოს საპარლამენტო ფრაქცია „სამართლიანობის" თავმჯდომარე.

მერვე სვეტი

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. 1994 წლის იანვარ-სექტემბერში წინა წლის ამავე პერიოდთან შედარებით, შემცირებულია მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის წარმოების მოცულობა. კერძოდ, ტყავის ფეხსაცმლის — 1128 ათასი წყვილით, ტრიკოტაჟის ნაწარმის — 1129 ათასი ცალით, ხორცის — 442 ტონით, ხილ-ბოსტნეულის კონსერვების 21,1 მილიონი პირობითი ქილით, ხორბლის ფქვილის — 17,3 ათასი ტონით.

თბილისი. მიუხედავად ფასების ლიბერალიზაციისა, რამაც კუპონის კურსის შედარებით გამყარება განაპირობა, მაინც შეინიშნება კუპონის ფარული ინფლაცია. კომერციულ ქსელში და შავ ბაზარზე კუპონებში რეალიზაციის შემთხვევაში, ჩადებულია კუპონის წინგამსწრები, ოფიციალურ კურსთან შედარებით 15-40 პროცენტით დაბალი კურსი, რაც ხელოვნურად ზღუდავს მის მიმოქცევას. კუპონი პრაქტიკულად განდევნილია მიმოქცევის სფეროდან, საქონელი მხოლოდ რუსულ რუბლებზე იყიდება.

თბილისი. საქინფორმის ჟურნალისტმა გაეროს გენერალურ მდივანს ბუტროს-ბუტროს გალის მიმართა თხოვნით, რათა იგი დაინტერესებულიყო სოხუმის აღების შემდეგ უგზოუკვლოდ დაკარგული ჟურნალისტის საშა ბერულავას ბედით. გაეროს მდივანმა მას აღუთქვა დახმარება და დასძინა, რომ ინფორმაციას ამის შესახებ გადასცემს გაეროს სპეციალურ განყოფილებას, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს.

თბილისი. საქართველოს დელეგაცია დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარის იური ქედიას მეთაურობით მოსკოვის გავლით ინგლისს გაემგზავრა. ჩვენი წარმომადგენლები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ხელმძღვანელობასთან ერთად შეაჯამებენ ქართველი ენერგეტიკოსებისა და ევრობანკის ექსპერტების მიერ ერთი წლის მანძილზე გაწეულ მუშაობას, კერძოდ კი, განიხილავენ მათ მიერ საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად დამუშავებულ სამ პროექტს. ეს პროექტები ითვალისწინებენ ჩვენი ქვეყნის ენერგოსისტემის ძირითად ობიექტებზე მნიშვნელოვანი ტექნიკური ღონისძიებების ჩატარებას, აგრეთვე სისტემის სამართავი კომუნიკაციების სრულყოფას თანამედროვე სტანდარტების დონეზე — ყოველივე ეს ხელს შეუწყობს დარგის ტექნიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებას.

ევრობანკი აპირებს დაახლოებით 32 მილიონიანი კრედიტის გამოყოფას ზემოთაღნიშნული ამ პროექტების დასაფინანსებლად. საბოლოო შეთანხმებას ამ კრედიტის თაობაზე ხელი მოეწერება წლის ბოლოს ქალაქ ლონდონში.

მოპიკეტეებმა გადაკეტეს რკინიგზა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 2 ნოემბერს, 10 საათზე სადგურ კასპის შესასვლელთან ადგილობრივმა მცხოვრებლებმა გადაკეტეს რკინიგზის ლიანდაგი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით.

ადგილობრივი ხელისუფლების ახსნა-განმარტების მიუხედავად, მოპიკეტეები აგრძელებდნენ აქციას.

შემთხვევის ადგილზე იყვნენ სარაიონთაშორისო პროკურორი, გამომძიებელი და სადგურ თბილისის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი.

აქცია შეწყდა. მოძრაობა აღდგენილია.

ლიკვიდირებულია ნავთობსახდელი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 2 ნოემბერს, საგარეჯოს რაიონის სოფელ ბალდოში შინაგანი ჯარის საინჟინრო სამსახურის მუშაკებმა ადგილზე ააფეთქეს კუსტარულად მოწყობილი ნავთობსახდელის 8 ქვაბი.

ღონისძიებები გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს რესპუბლიკის" დღეები აჭარაში

ახლახან აჭარაში გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დღეების დროს ჩვენი რედაქციის გამსვლელ კოლეგიას ბევრი საინტერესო შეხვედრა ჰქონდა საქართველოს ამ რეგიონის საზოგადოებრიობის, საწარმო-დაწესებულებების წარმომადგენლებთან.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა გაიმართა საქართველოს საზღვაო დეპარტამენტში — ახალ სამთავრობო სტრუქტურაში, რომელიც განაგებს ქვეყნის საზღვაო პრობლემებს და პასუხს აგებს ჩვენი ნავსადგურებისა თუ ქართული ფლოტის მუშაობის აქ-კარგზე, მის მომავალზე.

როცა სიტყვა მიზანს აღწევს

იმ მისვლის მიზანი წინასწარ გვქონდა განსაზღვრული, გვაინტერესებდა რა კონკრეტული შედეგები მოჰყვა ჩვენი გაზეთის რამდენიმე კრიტიკულ გამოსვლას, განსაკუთრებით კი, 11 ივნისის პუბლიკაციას — „ზღვა, ნავსადგური და „ტენდენცია", რომელშიც საქართველოს საზღვაო ნავსადგურების მუშაობაში არსებული სერიოზული ხარვეზები, აგრეთვე საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის საქმიანობის შეზღუდვის რიგი ალმაშფოთებელი ფაქტები იყო წარმოჩენილი.

ეს საქმე რომ სახელმწიფოებრივ დატვირთვას ატარებს იმაშიც გამოიხატა რომ ჩვენი რედაქციის გამსვლელ კოლეგიის წევრებთან ერთად საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე — ალექსანდრე გობრონიძეც ესტუმრა.

ჩვენი საუბარი საქართველოს საზღვაო დეპარტამენტის ხელმძღვანელთან ბიჭიკო ვარშანიძესთან ასე დაიწყო. მან თქვა: — სტატია, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკამ" გამოაქვეყნა, მეტად დროული და საჭირო იყო იმისათვის, რომ წერტილი დასმოდა იმ მავნე ტენდენციას, რომელსაც ზოგიერთი ხელმძღვანელი იჩენდა დეპარტამენტის მიმართ. მოგეხსენებათ, საზღვაო დეპარტამენტი ბათუმშია დამკვიდრებული. აქედან გამომდინარე, ვიცით რომელ ნავსადგურში, რომელ ნავმისადგომზე შეგვიძლია მივიღოთ ესა თუ ის გემი, როგორ გადავამუშაოთ მისი ტვირთი, როგორ გავუწიოთ კონტროლი. ამ მიზნით ჩამოყალიბებული გვაქვს შესაბამისი საკონტროლო სამსახური, რომელიც უშუალო კონტაქტშია ამ საქმიანობასთან. გასულ წლებში ათასგვარი ტვირთი მოაწყდა ჩვენს ნავსადგურებს. მათ შორის იყო ე. წ. „საკუთარი ტვირთებიც", რომლებსაც ასავალ-დასავალს ვერ გაუგებდი. ისეთი უპასუხისმგებლობა იყო, ვერც აგიწერთ...

...მას შემდეგ რაც დარგის კურატორი ვიცე-პრემიერი თამაზ ნადარეიშვილი გახდა, თავისუფლად ამოვისუნთქეთ. მან სალად განსაჯა ყველაფერი და მთელი პასუხისმგებლობა ამ საქმისთვის მხოლოდ დეპარტამენტს, მის ხელისუფლებას დააკისრა. მე, როგორც დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უშუალოდ ვარ პასუხისმგებელი მინისტრთა კაბინეტის წინაშე. ნავსადგურების ხელმძღვანელები კი სტრუქტურით ჩემს მოადგილეებად ითვლებიან და, აქედან გამომდინარე, ისინი ჩემს განკარგულებებს უნდა ასრულებდნენ, რადგან მე ვფლობ ძირითად ინფორმაციას და, ამდენად, მათზე უკეთესად შემიძლია კოორდინაცია გავუკეთო საქართველოში შემოსულ ტვირთებს.

აი ახლახან დავბრუნდი ბრიუსელიდან, სადაც ვიყავი იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია ხელმძღვანელობდა. ვიხილავდით წლეულს, 15 ნოემბრიდან, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ევროგაერთიანების დახმარების ტვირთების მიღება-დამუშავების საკითხებს. ძალიან დიდი მოცულობებია. აქ იქნება ხორბალი, ფქვილი, კარაქი და სხვა პროდუქტი. საქართველოსათვის 60 მილიონი ეკიუს ღირებულების დახმარებაა გათვალისწინებული. ჯერჯერობით ხელი მოვაწერეთ 35 მილიონის ხელშეკრულებას, ხოლო 15 დეკემბრიდან მორიგ ხელშეკრულებას გვპირდებიან. ბრიუსელში ვიყავით ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები, ჩვენ ერთობლივი შეკრება გავმართეთ და შევადგინეთ ისეთი კონტრაქტი, რომელიც აქამდე არ გაკეთებულა. მოვითხოვე შესრულებულიყო ამ ტვირთების გადაზიდვასთან დაკავშირებული ყველა პირობა, რადგან ადრე ამისათვის გამოყოფილი სახსრები ხანდახან სადღაც იკარგებოდა. ვერ ვეტყვით, ევროპაში რჩებოდა თუ სადღაც სხვაგან, მაგრამ მათი დაკარგვა ნაკლები პროდუქტის მიღებას იწვევდა. აი, მაგალითად, ახლანდელი 35 მილიონის ღირებულების პროდუქტში, რაც ნაკლები იქნება სატრანსპორტო ხარჯები, იმდენად მეტი პროდუქტი მოუწევს ჩვენს ხალხს. ამიტომ ისეთი ნორმები ჩავდეთ ხელშეკრულებაში, რაც საფუძველს მოგვცემს ნაკლები დანახარჯებით მივიღოთ მეტი ეფექტი — ე. ი. მეტი პროდუქტი. ცხადია, იყო სადაო საკითხებიც, მაგრამ ჩვენ მათ დავუმტკიცეთ ამ მოთხოვნების ობიექტურობა და წარმატებასაც მივაღწიეთ. საკუთარი ფლოტიც კი შევთავაზეთ ამ ტვირთების გადმოსაზიდად, მაგრამ დამკვიდრებული წესის თანახმად, თურმე ამ ტვირთების გადმოტანა შეუძლიათ მხოლოდ ევროგაერთიანების სახელმწიფოებს. აქ თამაშდება ე. წ. „ტენდერებზ" — ვინც მოიგებს, იმას მიეცემა ტვირთის გადატანის უფლება.

როგორც იცით, ჩვენ ინგლისელებთან ერთად გვაქვს ჩამოყალიბებული ერთობლივი ფირმა „ანგლო-ჯორჯია", რომელსაც უფლება აქვს ეს ტვირთები გადმოიტანოს. საჭირო ზომები მივიღეთ. იმისათვის, რომ ეს ერთობლივი ფირმაც ჩაგვერთო ამ საქმეში, რაც მეტად მომგებიანი იქნება ჩვენთვისაც და ჩვენი პარტნიორებისთვისაც.

„ანგლო-ჯორჯია" ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენია ჩვენთვის საერთაშორისო კლასის კადრების, ბიზნესმენების, საზღვაო დარგის სხვა სპეციალისტების მომზადებაში.

ისევ თქვენი გაზეთის პუბლიკაციაში აღძრულ ერთ მნიშვნელოვან საკითხს მინდა დავუბრუნდე. ყველა კონტრაქტში, რომელსაც ბრიუსელში მოვაწერე ხელი, ცალსახად არის ჩადებული, რომ ყველა ტვირთს, რომელიც ევროგაერთიანებიდან შემოვა, მხოლოდ საზღვაო დეპარტამენტი მიიღებს და გაანაწილებს. ასეც უნდა იყოს ყველა ნორმალურ სახელმწიფოში. საერთოდ, ერთ გარემოებას მინდა მივაპყრო თქვენი ყურადღება: დღეს ჩვენი ერთობლივი ფირმის გემები დადიან მალტის დროშით. ბევრმა, მათ შორის ზოგმა მეზღვაურმაც კი არ იცის, რას ნიშნავს ეს. გემზე დროშა გამოიცვალა, მაშინვე იწყება ხოლმე მითქმა-მოთქმა: — არიქა, გემი გაყიდესო! არ არის ეს ასე. მაგალითად, ამერიკის ფლოტის ორ მესამედზე მეტი ლიბერიის დროშით დადის. ჩვენი გემები კი, როგორც გითხარით, მალტის დროშით დადიან. რატომ ხდება ეს? — მე რომ კრედიტი ავიღო გემის დაქირავების შედეგად, იგი აუცილებლად სხვა ქვეყნის დროშით უნდა გამოდიოდეს. გემის დამფრახტავები უმეტესად მალტის დროშით მოძრავ გემებს ქირაობენ, რადგან მსოფლიოში დადგენილი წესის მიხედვით, ამ გემს ვერავინ შეეხება. ამასთან, მალტის დროშა მეტად მომგებიანია გემთმფლობელებისათვის. შეიძლება დადგეს ისეთი დრო, როცა საქართველოს შეეძლება ასეთივე რეგისტრირება გაუკეთოს სხვადასხვა ქვეყნის გემებს და თავის დროშაც შესთავაზოს. ეს საკუთრებაზე ხელის აღებას როდი ნიშნავს. ეს საჭიროა იმისთვისაც, რომ მსოფლიო ეკონომიკაში ჩავჯდეთ, თორემ დიდი კონკურენციის გამო ძალიან ძნელია ამ სისტემაში შეღწევა.

— დღეს როგორია ჩვენი ფლოტის შემადგენლობა, რამდენ ერთეულს მოიცავს იგი?

— დღეს 51 გემია ჩვენი ფლოტის შემადგენლობაში. მალტის დროშით 22, ერთობლივი საწარმოების შემადგენლობაშია — 9. დანარჩენი ჩვენი სანაოსნოს დროშით არიან.

— რაც შეეხება სამგზავრო გემებს? რამდენადაც ვიცით, ისინი არ ჰყავს საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს...

ბ. ვარშანიძე: — თქვენ, ალბათ, გახსოვთ „გრუზია", „რუსთაველი" და სხვა გემები, ისინი ოდესის შავი ზღვის სანაოსნოზე იყვნენ მიწერილი. ცხადია, ფლოტის განაწილების დროს იდგა მათი გადმოცემის საკითხი. მახსოვს, ჯერ კიდევ პრემიერ-მინისტრ სიგუას დროს არა ერთხელ წამოვჭერით ეს საკითხი. ამ განაწილების დროს დიდი დავა მოგვივიდა იმის გამო, რომ თითქმის ყველა რესპუბლიკამ მოითხოვა ფლოტი, — თუ გაყოფაა ყველა რესპუბლიკას უნდა გაეყოსო, ამბობდნენ შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები. ბოლოს, სიგუამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ის სანაოსნოები, რომლებიც გააჩნდათ რესპუბლიკებს, მათ განკარგულებაში დარჩენილიყო. ასეც მოხდა. რაც შეეხება სამგზავრო გემებს: ისინი დღემდე ვერ მივიღეთ: ცხადია, სამგზავრო გემი აუცილებლად გვჭირდება. ბატონმა ასლან აბაშიძემ ბევრჯერ წამოჭრა ეს საკითხი. უნდა გამოინახოს საშუალება, რომ შევიძინოთ სამგზავრო გემი. გვაქვს ერთი წინადადება, რაზეც ახლა ვმუშაობთ, მაგრამ... გამოგიტყდებით, მოვლა გაგვიჭირდება.

— რას გულისხმობთ ამ გაჭირვებაში?

— მოგეხსენებათ, სამგზავრო გემს განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა სჭირდება. აქ მხოლოდ უმაღლესი კლასის მომსახურებაა საჭირო, რაც ჯერჯერობით, ძალიან გაგვიჭირდება. მაგალითსაც გეტყვით: ამ ორი წლის წინათ დავფრახტეთ „შოთა რუსთაველი" ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში კრუიზის მოსაწყობად. სამი კრუიზის შემდეგ, გემი გადასაგდები გახდა. ისეთ დღეში ჩააგდეს ჩვენმა მგზავრებმა, რომ კაპიტანი ცხარე ცრემლით ტიროდა. ყველაფერი დახსნეს, დაჭრეს, გაძარცვეს, გააპარტახეს. ამას აკეთებდნენ საქართველოს მოქალაქეები, თანაც გემზე, რომელიც ჩვენი სათაყვანებელი შოთას სახელს ატარებს... წარმოგიდგენიათ, რა დღეში ვართ: გვინდა ახალი სამგზავრო გემი ვიყიდოთ, ამისათვის ათასი სხვა რამ უნდა მოვიკლოთ, ათასი დაბრკოლება გადავლახოთ და იმის გარანტია არა გვაქვს რომ მას შევინარჩუნებთ!

— ამ ბოლო ხანს ერთავად სულ ფოთის ნავსადგურის რეკონსტრუქციაზე ლაპარაკობენ, ასეთივე რამ თუ არის ჩაფიქრებული ბათუმის ნავსადგურში?

— აუცილებლად... ორივე ნავსადგურის განვითარება ერთდროულად უნდა მოხდეს. ისე კი, უნდა ვთქვა, რომ ერთხანს მართლაც იყო მცდელობა ფოთის ნავსადგურის პრიორიტეტულობაზე. მაშინ, როცა ბათუმის ნავსადგური თავისი ბუნებრივი პირობებით, სიღრმითა და სხვა პარამეტრებით, მნიშვნელოვნად აღემატება ფოთის ნავსადგურის მონაცემებს, მაგრამ რა სალაპარაკოა ყოველივე ეს? ვიღაცას ხელს აძლევდა დაეპირისპირებინა ეს ორი ქალაქი. ფოთიც და ბათუმიც ერთია ჩვენთვის, დეპარტამენტისათვის, ორივე სჭირდება ჩვენს ხალხს და ცდას არ დავაკლებთ, რომ მათი განვითარება სწორედ ასე წარიმართოსო, — მითხრა ამას წინათ ჩვენთან ჩამოსულმა რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა თამაზ ნადარეიშვილმა, რომელიც თანამიმდევრულად ანხორციელებს ამ პოლიტიკას. მაგრამ მარტო ნავსადგურების განვითარება არაფერს მოგვცემს, თუ ახლავე არ შევუდგებით ჩვენი რკინიგზის რადიკალურ გარდაქმნას. მისი გამტარუნარიანობის გადიდებას.

— ახლახან ბათუმში გაიმართა შავი ზღვის აუზის ქვეყნების გემთმფლობელთა მორიგი კონფერენცია. ეს, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოსთვის და მადლობა უნდა ვუთხრათ საქართველოს საზღვაო დეპარტამენტს, რომელმაც ყველაფერი იღონა ამ ფორუმის ბათუმში მოსაწყობად და იმ კონტაქტების აღსადგენად, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად დაიკარგა რესპუბლიკებს შორის. თქვენ როგორ შეაფასებდით „ბინსას" ამ კონფერენციის შედეგებს?

— უნდა ვთქვა, რომ ეს პირველ რიგში პოლიტიკური აქციაც იყო. უცხოეთის ოთხი ქვეყნის ტელევიზია აშუქებდა ამ კონფერენციის მუშაობას. მათ მსოფლიოს გააცნეს ის ატმოსფერო, რომელიც აქ სუფევდა. ის, ვინც ნახავს მათ გადაცემებს, მიხვდება, რომ ჩვენთან არც ისეა საქმე, როგორც უცხოეთში ჰგონიათ. ის ნორმალური ატმოსფერო, რომელიც ამ გადაცემებში გამოჩნდება, სტიმულს მისცემს ჩვენს პარტნიორებს ჩამოვიდნენ საქართველოში, აღადგინონ ძველი კონტაქტები. ამასთან, 14 ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოვაწერეთ ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს მრავალმხრივ ურთიერთდახმარებას. მაგალითად, სულ მალე დიდი გამოცდა გველის აჭარაში. წლეულს, როგორც იცით, ციტრუსების არნახული მოსავალი გვექნება. ძალიან გაგვიჭირდება ამ პროდუქციის გატანა. ჩვენმა პარტნიორებმა გულთან მიიტანეს ეს საკითხი და შეგვპირდნენ რომ გამოგვიგზავნიან გემებს ციტრუსების გადასაზიდად. ახლა ჩვენ იმას ვფიქრობთ, თუ როგორ გავუკეთოთ მობილიზება ტრანსპორტს, რომელიც დატვირთული შევა გემში და დანიშნულების ნავსადგურში მისვლისთანავე თავადვე გააგრძელებს სვლას მომხმარებლამდე. ეს დაგვიზოგავს დროს, გამორიცხავს პროდუქციის გაფუჭებას, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ასე რომ, თუ ტრანსპორტი გვექნა, გემებზე დაბრკოლება არ იქნება.

ეს იქნება ასეთი ურთიერთდახმარების პირველი აქცია. საერთოდ კი, ამ კავშირების აღდგენა ბევრ სასიკეთო საქმეს გაგვიკეთებს, ჩვენი ასოციაციის გემებზე დაწესებულია შეღავათები, მათ ემსახურება ასოციაციის სხვადასხვა უწყება. ერთი სიტყვით, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება.

— რა მდგომარეობაა ჩვენს გემებზე, კადრების როგორი შემადგენლობა გვყავს, როგორია დისციპლინა. აქვთ თუ არა მათ გაცნობიერებული, რომ ისინი დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენლები არიან უცხოეთის ნავსადგურებსა თუ ოკეანეებში?

— ჩვენ კადრების სიმცირე არ გვაწუხებს. ახლა 1000 კაცი ელოდება გემზე წასვლას. რიგში გვყავს 2.000. ასე რომ, გვაქვს შესაძლებლობა ულირსთაგან გავწმინდოთ მთელი პირადი შემადგენლობა და ასეც იქნება. ქართველი მეზღვაური ყოველმხრივ სანიმუშო უნდა იყოს.

ალ. გობრონიძე: — რაკი კადრებზე ჩამოვარდა საუბარი, უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ შესანიშნავი უმაღლესი სასწავლებელი — საქართველოს საზღვაო აკადემია ჩამოყალიბდა ბათუმში, იგი გამოირჩევა თავისი აღჭურვილობით, კაბინეტ-ლაბორატორიებით, რაც, ვფიქრობ, დიდად მოიზიდავს ჩვენს ახალგაზრდობას. საერთოდ კი, ეტყობა ამ დარგის პროპაგანდის მიზნით ძალზე ბევრის გაკეთება მართებს ჩვენს პრესას, ტელევიზიას. როგორღაც უნდა შევქმნათ ჩვენი საზღვაო ისტორია.

ბ. ვარშანიძე: — დეპარტამენტმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას კარგად აღჭურვილი საზღვაო აკადემია ჰქონდეს. ახლა ძველი საზღვაო სასწავლებლიდან 72 მსმენელიღა გვყავს დარჩენილი. მათ გამოვუშვებთ და ახალ კონტინგენტს მივიღებთ, ამ დღეებში დიდებულად ჩავატარეთ საზღვაო სასწავლებლის საიუბილეო დღეები. მჯერა, რომ საზღვაო საქმეს ბევრი გულშემატკივარი გამოუჩნდება, ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საქართველო ნამდვილ საზღვაო ქვეყნად ვაქციოთ...

ჩვენი გაზეთის გამსვლელი კოლეგიის ვიზიტი საქართველოს საზღვაო დეპარტამენტში იმით დამთავრდა, რომ გადავწყვიტეთ კიდევ უფრო მჭიდროდ ვითანამშრომლოთ. მართლაც, ბევრი კარგი, შესანიშნავი საქმის წამომწყები და ინიციატორები არი ჩვენი მეზღვაურები. მაგრამ ამ შემდგომ, მომავალ პუბლიკაცი ბში მოგითხრობთ.

ეპილოგი მცირეოდენი განსჯისათვის

მედეა რომ მოგვტაცეს, აე თურმე, კოლხეთის უზარმაზ ფლოტი დაუდევნებია თავს იაზონისათვის და ელინთა ზღ ღმერთის — პოსეიდონის „რა კალური ჩარევა" და დახმარ რომ არა...

თუ ეს ყველაფერი მხოლო ბრძენი ავტორის ფანტაზი ღმერთმა შეუნდოს! მაგრამ თ ფლოტი მართლაც იყო, სად გ რა?.. ისე როგორ ჩაიკარგა სა კუნეებში, რომ ერთხელაც არს წამოტივტივდა?

ალბათ, ჩვენს ისტორიკოსებ მართებთ რაღაც იღონონ, როგორ მე შეავსონ ჩვენი ისტორიის ხარვეზი. ვფიქრობ, დადგა დრ უფრო ფართო გეოგრაფიული ს ქტრით დავინახოთ და შევეცად ჩვენი ქვეყნის წარსული, რომე შიც ყოვლისმომცველად იქნებ წარმოდგენილი ძველი კოლხეთ ლაზეთის, აჭარის, საქართველ სხვა მხარეების ისტორია, რომ ლთა შორის საგულისხმო ადგი ქართველთა ზღვაოსნობასაც, ზღვა სთან მათი დამოკიდებულების ფ ქტორსაც დაეთმობა, რაც, ალბა უდიდესი შენაძენი იქნება ჩვე კულტურის, მეცნიერებისათვის საფუძველს შეგვიქმნის ზღვაო ნობის მომავალი განვითარებისა ვის.

ვფიქრობ, ამ პრობლემის გად წყვეტას თითო-ოროლა ენთუზ სტი არ ეყოფა. საჭიროა შეიქმნ ერთი, ყოვლისმომცველი სამთ რობო — სახელმწიფო პროგრა რომელიც შესაბამის მექანიზმ გაითვალისწინებს...

გია ჭელიძე.
„სრ" აჭარის ბიურო



სურათებზე: ბათუმის ნავსა გურში (ზემოთ); საქართველ საზღვაო დეპარტამენტის დელ გაცია ბ. ვარშანიძის ხელმძღვან ლობით შავი ზღვის აუზის ქვე ნების გემთმფლობელთა მორ კონფერენციაზე.

სეირან ბაროიანის ფოტ

გაერთიანებული სხდომა

იმ დროს, როცა ჩვენი ქვეყნების, ხალხებისა და მათი შეიარაღებული ძალების ურთიერთობა შესამჩნევად გაუმჯობესდა, გარკვეული ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ ამ პროცესის ჩასაშლელად.

ასე, მაგალითად, 2 ნოემბერს საღამოს ავტომატური იარაღის ცეცხლი დაუშინეს დაბა ვაზიანში განლაგებული რუსეთის 137-ე ბაზის სამხედრო ობიექტს.

ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის შტაბის (პოლკოვნიკი ი. ზაიცევი, პოლკოვნიკი ი. ტრუტიაკოვი და პოლკოვნიკი ს. დერებკო) და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შტაბის (პოლკოვნიკი ი. კალანდაძე, მაიორი ზ. არჩვაძე) ერთობლივი კომისიის მიერ განხორციელებულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ამ ბოლო ხანს გახშირდა შემთხვევები, როცა უცნობი პირები ცეცხლს უშენენ როგორც რუსეთის სამხედრო ობიექტებს, ასევე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მე-11 ბრიგადის საარტილერიო დივიზიონის ტერიტორიას. როგორც წესი, ცეცხლის დაშენა ხდება საღამოობით ისეთი ადგილებიდან, რომ შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს რუსეთის 137-ე ბაზის სამხედრო ობიექტებს ესვრიან საქართველოს არმიის მე-11 ბრიგადის საარტილერიო დივიზიის ტერიტორიიდან, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საარტილერიო დივიზიონს — რუსეთის 137-ე ბაზის ტერიტორიიდან.

ამასთან დაკავშირებით ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის პრესცენტრი და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრი აცხადებენ, რომ ამგვარი პროვოკაციული მოქმედება ვერ შეაჩერებს ორი არმიის ურთიერთობაში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდლობა და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდლობა ყველაფერს იღონებენ, რათა აღკვეთონ საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების სამხედრო ობიექტების მიმართ მართლსაწინააღმდეგო მოქმედება და კიდევაც გაანადგურონ.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის განცხადება

1994 წლის 15 სექტემბერს საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურას განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გერმანიაში ბატონმა კონსტანტინე გაბაშვილმა იმის თაობაზე, რომ გაზეთ „სარანგში" გამოქვეყნებული დავით ზეიკიძის ინტერვიუს მიხედვით გავრცელდა ინფორმაცია მის მიერ ბანკიდან 40 მილიარდი მანეთის ოდენობით კრედიტის გატანის თაობაზე, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

დადგენილია, რომ გაზეთ „სარანგის" 1994 წლის 25 აგვისტოსა და 23 სექტემბრის ნომრებში გამოქვეყნდა ერთი და იგივე სტატია სათაურით: „პოლიციის გენერალ-მაიორის დ. ზეიკიძის აღსარება", რომელშიც სხვა მთელ რიგ კანონსაწინააღმდეგო ფაქტებთან ერთად მოტანილია აგრეთვე ბატონ კ. გაბაშვილის განცხადებაში მითითებული ფაქტიც.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურა აცხადებს, რომ მის წარმოებაში არსებული სისხლის სამართლის საქმის მიხედვით არ მოიპოვება მასალები ბატონ კ. გაბაშვილის მიერ ბანკიდან 40 მილიარდი მანეთის ოდენობის კრედიტის გატანის შესახებ.

თუ დავალიანება არ დაიფარება...

დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო, რამაც ბოლო დროს მასობრივი ხასიათი მიიღო, შეუძლებელი გახდა ენერგოსისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი სახსრების დაფარვა. დავალიანებამ 35 ტრილიონ კუპონს გადააჭარბა. განსაკუთრებით დიდია დავალიანება გაზის მომწოდებლების მიმართ, რის გამოც მკვეთრად შემცირდა მისი მოწოდება.

შექმნილი ვითარების გამო და სახელმწიფოს მეთაურის № 267 ბრძანებულების შესაბამისად დღეიდან ელექტროენერგიის დიდი დავალიანების მქონე მომხმარებლებს შეუწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების სრულ დაფარვამდე.

ელექტროენერგიის მიუწოდებლობით გამოწვეული შედეგებისათვის, პასუხისმგებლობა მთლიანად დაეკისრებათ დავალიანების მქონე საწარმოების, რაიონებისა და ქალაქების ხელმძღვანელებს.

„საქენერგოს" პრესცენტრი.

თვალსაზრისი

ამის წინასწარმეტყველება შეუძლებელი იყო

დაახლოებით ოცი წლის წინათ არალეგალურად გავავრცელე ნაშრომი, სადაც ვწერდი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოშობილ პრობლემებზეც. ვამბობდი, რომ ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის შედეგად საქართველოში მკვეთრად შემცირდება ეროვნული შემოსავალი, რაც მოსახლეობას კვებით უზრუნველყოფისა და პირველადი მოთხოვნილებების მომარაგების საქმეში პრობლემებს შექმნის-მეთქი. ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილად მიმაჩნდა ე. წ. საკავშირო დაქვემდებარების ქარხნებიდან გამოთავისუფლებული მუშების სოფლის მეურნეობაში დასაქმება.

ერთი წამით ფიქრადაც არ მომსვლია საკუთრების სახელმწიფო ფორმის მოშლა. პირიქით, სულ იმას ვამტკიცებდი, რომ ახალშობილი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ცხოვრების ყველა სფეროში სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას. არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში ბოლშევიკური რეჟიმი სახელმწიფო საკუთრების ჰეგემონიასთან.

როცა ქვეყანაში უმნიშვნელო სასიცოცხლო რესურსები მოიპოვება, ასეთ პირობებში ეს რესურსები შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა განაწილდეს თითოეულ მოქალაქეზე.

ჩემს ნაშრომებსა და სტატიებში ფილოსოფიური, პოლიტიკური თვალთახედვით და პრაქტიკული მაგალითების მოხმობით მრავალჯერ მაქვს არგუმენტირებული კერძოსთან სახელმწიფო საკუთრების უპირატესობა. ამიტომ მკითხველს თავი რომ არ მოვაბეზრო, ამჯერად მასზე ყურადღებას აღარ შევაჩერებ. ჩვენდა სამწუხაროდ, მოხდა საწინააღმდეგო: პრესა, რადიო-ტელევიზია, ფართო პროპაგანდას უწევს კერძო საკუთრებას, თავისუფალ ვაჭრობას, გლობალურ პრივატიზაციას და მის თანამდევ ატრიბუტებს.

ასეთი მდგომარეობა კი ხელს აძლევთ ეგოისტურად განწყობილ ინდივიდუუმებს, რომლებისგანაც შედგება ერისა და საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დაიწყო პირადი მიზნებისათვის „მოღვაწეობა". კომერსანტები „აფიორის" მეშვეობით უზომოდ გამდიდრდნენ, როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა შიმშილობს. პოტენციური ყაჩაღები პროფესიონალებად იქცნენ. ისინი თავისუფალი ვაჭრობის მეშვეობითა და ხელშეწყობით ნაძარცვს ასაღებენ. ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის ინიციატივით ფასიანი, კერძო უმაღლესი სასწავლებლები გაიხსნა, მათი რიცხვი ამჟამად ორასს აღემატება.

რა ჰქვია ამას? — ერის უბედურება!

ჩვენთან ძალიან უჭირთ უმარტივესი ჭეშმარიტების გაცნობიერება. როცა ერი ძნელბედობას განიცდის, მაშინ თითოეული მოქალაქე ორ რამეს უნდა აკეთებდეს — მატერიალურ დოვლათს ქმნიდეს (მასში ინფრასტრუქტურული საქმიანობაც შედის) და იარაღით სამშობლოს იცავდეს.

ჩვენთან კი ყველა დარგის წარმომადგენელი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი თანხები გამოსძალოს სახელმწიფოს. მაგალითად, ყოველდღიურად გვესმის ხელოვნების მუშაკებისა და სპორტსმენების საყვედურები, სახელმწიფო ჩვენზე ნაკლებ მზრუნველობას იჩენსო. ზოგს იმითაც მოაქვს თავი (მათ შორის პარტიებსაც) ბიუჯეტიდან არაფერი გაგვაქვს, სპონსორების დახმარებით ვარსებობთო. ციდან არაფერი ცვივა, სპონსორების ქონებაც ეროვნულ შემოსავალში შედის და მას ისეთივე გაფრთხილება და კონტროლი სჭირდება, როგორც სახელმწიფოს ბიუჯეტს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ნეგატიურ მოვლენას შეიძლება რალაცნაირი გამართლება მოუძებნო და თქვა: შეჭირვების ჟამს ადამიანებს არ აღმოაჩნდათ მაღალი პატრიოტული სულისკვეთება, მათში ეგოისტურმა თვისებებმა გაიღვიძა და ყველაფერი წმიდათაწმიდა გადაფარაო. მაგრამ ვერავითარ გამართლებას ვერ ვუპოვით ისეთი პოლიტიკოსების ქმედებას, რომელთა აზროვნებითა და ქცევით უმოკლეს დროში ერი შეიძლება აღიკვეთოს პირისაგან მიწისა.

გულწრფელად მეგონა, რომ ქართველი ერი როცა დამოუკიდებლობის გზას დაადგებოდა, დიდი და პატარა, — თავისეულ წვლილს შეიტანდა დიადი საქმეების კეთებაში. ვხედავთ საწინააღმდეგოს: ყველას ახლა მოუნდა გამდიდრება, სახელის მოხვეჭა, ურთიერთანგარიშსწორება, „სავარძელი", გაუთავებელი მოგზაურობა და დროსტარება, პოლიტიკოსობა და ამით საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება. ამის წინასწარმეტყველება მართლაც შეუძლებელი იყო!

სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ოპოზიცია მდგომარეობის გამოსასწორებლად არასწორ მეთოდებს, გზებს გვთავაზობს, მათ კვალს ადგანან ისინიც, ვისაც თავი ოფიციალურად ოპოზიციონერებად არ გამოუცხადებიათ, მაგრამ არაფრით განსხვავდებიან „ოფიციალურებისაგან", პირიქით, ზოგ საკითხში, მათთან შედარებით უფრო მეტ უკიდურესობას ამჟღავნებენ და ამავე დროს მოპირისპირე მხარის უხამსი სიტყვებით ლანძღვა-გინებით გამოირჩევიან.

კერძოდ, რა სურს ოპოზიციას? — უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოს მეთაურის გადადგომა, ცხოვრებაში ე. წ. პირველყოფილი კაპიტალიზმის დამკვიდრება და აფხაზეთის პრობლემის სამხედრო ძალით მოგვარება. უკანასკნელი მოთხოვნა რომ შეარბილონ, ოპოზიცია ასე გვმოძღვრავს: თუ აფხაზეთის პრობლემა მშვიდობიანი გზით არ გადაწყდა, ბუნებრივია, ლოგიკას სამხედრო ძალის გამოყენებასთან მივყავართო. მასთან აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში რუსეთის ფაქტორს გამორიცხავენ: ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო შორს მიდის, ზედმეტად მიაჩნია გაეროს მონაწილეობა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ჩაქრობის საქმეში. აქაოდა, საკითხის მოგვარება, როგორც საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში წარმოშობილი ეთნოკონფლიქტი, საშინაო საქმეთა პრეროგატივაში შედისო. ეს კი პოლიტიკურ სიბეცესა და რეალობის სავსებით უგულებელყოფას ნიშნავს.

ოპოზიცია ვერ აცნობიერებს მოვლენების წარმომშობ ობიექტურ მიზეზებს და გმობს საქართველოს დსთ-ში შესვლას. ისინი ანგარიშს არ უწევენ, რომ დიდი თუ მცირე სახელმწიფო ერთმანეთის მიმართ ფუნქციურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. რომ ღერძი ამ დამოკიდებულებისა დიდ სახელმწიფოთა ინტერესებზე გადის. მათი სტრატეგიული გეგმების მიხედვით ხდება ყველა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო სიტუაციის რეგულირება.

ყველა ავისმოსურნის წადილია საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გამწვავებით მისმა ქვეყანამ მიიღოს უპირატესობანი.

ავისმოსურნეებში, რასაკვირველია, არ იგულისხმებიან ისინი, ვისაც პოლიტიკური უვიცობით უხეში შეცდომები მოსდით.

გულუბრყვილო ადამიანების ასეთ კითხვას — რა მისცა საქართველოს დსთ-ში შესვლამ? — მოკლედ ვუპასუხებდი: საქართველო უმოკლეს დროში დესტაბილიზაციას გადაარჩინა!

მართალია, შევარდნაძე თანამედროვეობის თვალსაჩინო პოლიტიკოსად არის აღიარებული, მაგრამ საშუალო რანგის პოლიტიკოსიც რომ მდგარიყო საქართველოს ხელისუფლების სათავეში, ბოლოს და ბოლოს იმ გზებს გაიმეორებდა, რაც შევარდნაძემ აირჩია.

საერთოდ კი, მდინარის დინების საწინააღმდეგოდ არავის ძალუძს ცურვა.

ერთი წამით წარმოვიდგინოთ: ოპოზიცია მოვიდა ხელისუფლების სათავეში. უნდა ვიგულისხმოთ, ისინი თავიანთი პრინციპების განუხრელი შემსრულებლები იქნებიან. სხვანაირი ქცევა მდაბიურობისა და უპრინციპობის უკიდურესი გამოვლინება იქნება. დაუყოვნებლად და დაუფიქრებლად რუსეთთან ომს დააფიქსირებდნენ (მათი საყვარელი სიტყვებია). ამისათვის კი — ტოტალურ მობილიზაციას გამოაცხადებდნენ. რასაკვირველია ეს ღონისძიება საქართველოს, ასე ვთქვათ, ურჩ რეგიონებში, სიმშვიდის დასამყარებლადაც გამოადგებოდათ; ყოველგვარი გარდამავალი ეტაპების გაუვლელად, ქვეყანაში პირველყოფილ კაპიტალიზმს დაამკვიდრებდნენ.

შეიძლება შემომედავონ და მითხრან: რატომ გგონიათ, რომ პირველყოფილი კაპიტალიზმის მომხრენი ვართ? ჩვენ დასავლური ცხოვრების წესები მოგვწონსო.

ჯერ ერთი, ოპოზიციას საგნობრივად არა აქვს გაცნობიერებული, ე. წ. დასავლური ცხოვრების წესები. იგი ვერავითარ განსხვავებას ვერ ამჩნევს სოციალიზმსა და ბოლშევიზმს შორის. მეორეც, თითოეულ ქვეყანას თავისი განვითარების გზები, ტრადიციები და რეალობა აქვს, შაბლონურად რისიმე გადმოტანა ზიანის მეტს არაფერს მოიტანს.

ოპოზიციას და სხვებსაც არასწორი წარმოდგენა აქვთ კერძო საკუთრების გაგების საკითხში. მათი გაზეთები ფართო პროპაგანდას უწევენ სიტუაციის შეუფერებელ, მიუსადაგებელ ეკონომიკურ პოლიტიკას.

შედეგმაც არ დააყოვნა, დღესდღეობით სახელმწიფოს ალარაფერი შერჩა. ასეთმა მდგომარეობამ კი მეტად გააძნელა სოციალურად დაუცველი მოქალაქეების პირველი მოხმარების საგნებით მომარაგება.

დასკვნა: ხელისუფლებაში ოპოზიციის მოსვლის შემთხვევაში, საქართველო კიდევ მეტ იზოლაციაში აღმოჩნდება, ვიდრე იგი 1990-91 წლებში იყო. თვით იზოლაციას ხელს შეუწყობს ის გარემოებაც, რომ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრიობა განაწყენებული იქნება შევარდნაძის გადადგომით.

ყველაფერ ამას რა შედეგებიც მოჰყვება, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. მხედველობაში ისიც მისაღებია, რა სირთულეებს გამოიწვევს სკამის მაძიებელთა შორის ატეხილი ომი.

ოპოზიციის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მას ძალიან უჭირს მოვლენებში ღრმად წვდომა და ანალიზი, ამა თუ იმ შეხედულების ფილოსოფიური, მეცნიერული და პოლიტიკური კრიტერიუმებით დამტკიცება, პრაქტიკული მაგალითებით არგუმენტირება. მას ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ალტერნატიული კონცეფციები რომ არ გააჩნია, საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია.

ჩვენში არსებობს ადამიანების კიდევ ერთი რიგი, რომლებიც დრო და ჟამის შესაბამისად —ხან სახელმწიფოს მეთაურს უჭერენ მხარს, ხანაც — არა. მათი ჩანაფიქრი იოლად ასახსნელია: სახელმწიფოს მეთაურთან ოფიციალურად ოპოზიციაში იმიტომ არ იმყოფებიან, რომ კარგად მოეხსენებათ ამის გამო, არც საზღვარგარეთ და არც ჩვენთან, მასების უმრავლესობისაგან მხარდაჭერას ვერ მიიღებენ. ე. წ. ცენტრისტულ სამოსელში გახვეულები, დაფარულად გამოთქმული უკიდურესი მოსაზრებებით კიდევ უფრო ამწვავებენ ურთიერთობას სხვადასხვა პარტიებსა და ამა თუ იმ დაპირისპირებულ მხარეთა შორის. ამით სურთ მღვრიე წყალში თევზის იოლად ჭერის თეორია მაქსიმალურად გამოიყენონ.

რამეთუ დღენიადაგ თვალი „სავ ძლებისაკენ" უჭირავთ, მათ კარგ უწყიან, ობიექტური თუ სუბიე ტური მიზეზების გამო მდგომ რეობა ძალზე ნელა სწორდებ ზოგჯერ ჩავარდნებიც ხდება. ბ ნებრივია, მდგომარეობის გამო წორებისათვის პასუხისმგებე ხელისუფლება და მისი მეთაუ რია. ყველაფერი ეს კიდევ უ რო გაზრდის ხალხის უკმაყოფ ლებას, რაც მთავრობის უნდო ლობაში ჰპოვებს გამოხატულ ბას.

ხალხმა უკვე კარგად გაიცნ ბიერა ოპოზიციის უნარი და შ საძლებლობანი... და რაღა გ კვირია, მესამე ძალას რომ დ უწყოს ძებნა? და, აი, მომენტ მაშინ დაუდგებათ მათ, ასე და ვარქვათ, ზეოპოზიციონერებ და ისინი ხმამაღლა, ბოლშევიკ რად შესძახებენ: „არის ასე პარტია!"

მაგრამ ქართველ ხალხს უ მეორედ ვერავინ გააბრიყვებს. იგი დილეტანტებს, ბაქიებს პ ლიტიკურ სარბიელზე ამიერი მწვანე შუქს აღარ აუნთებს.

ჩვენთან კიდევ ერთი უბედ რება სჭირთ. სიტყვით ყვე დემოკრატიის, ჰუმანიზმის, კ პრომისის, პლურალიზმის მო რეა. საქმით კი საწინააღმდეგ აკეთებენ: სიტყვებითაც არ დობენ ერთმანეთს და ავყიაობ „შესაშურ" უნარს ამჟღავნებ

სუსტად, ან საერთოდაც იცნობენ საზოგადოებრივ ფ რიებს, ამიტომ ასეთი ადამია არავითარ ყურადღებას არ აქ ვენ საზოგადოებრივი ფორმაც შერჩევის საკითხს.

ჰარმონიული საზოგადოებ ჩამოსაყალიბებლად უპირველ სად საჭიროა, ცხოვრების წე ბის ოპტიმალური ვარიანტ დაუცხრომელი ძიება. პო შემთხვევაში კი, ამ ოპტიმალუ ვარიანტის მიხედვით, მისაღ გებელი და შესაფერისი კანონ ბისა და კოდექსების შედგ რისი განუხრელი დაცვა ნამდ დემოკრატიას მოგვიტანს. ვ ორებ, სანამ ცხოვრების წეს საუკეთესო ვარიანტს არ ვ ვით, მანამ ვერავითარი კანო სრულყოფილად ვერ იმუშავ

ქაოტურ და დაბნეულო მოცულ საქართველოში გად დებელ და აუცილებელ საქ მიმაჩნია პოლიტიკურ სარბიელ ინტელექტუალური ძალების ბედული გამოსვლა, რათა მა ნიჭი და ენერგია ერისათვის უკეთესო გზების ძიებას მოხ რდეს. და, თუ ამ საპატიო საქ ჭეშმარიტი ინტელიგენტები ულად იკისრებენ, მაშინ აგ ციურ სახელსდახარბებულ, ტიურისტ ადამიანებს პოლიტ ში მოღვაწეობისათვის ადგ აღარ დარჩებათ.

ვაჟა ჟღენ

წარდგენილია პრემიის მოსაპოვებლად

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პრეზიდიუმმა თავის გაფართოებულ სხდომაზე განიხილა 1994 წლის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად წარდგენილი ნამუშევრები და გადაწყვიტა კენჭისყრისათვის დაუშვას შემდეგი კანდიდატურები:

I. ლიტერატურის დარგში

ოჩანაშვილი გურამ პეტრეს ძე (მწერალი) — გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული ვრცელი მოთხრობისათვის „[illegible] მიხეილ და ს[illegible] ორ-ორნი“. („ლიტერატურული საქართველო“ 1994 წ. №№ 40-51).

წარმოადგინეს საქართველოს მწერალთა კავშირმა და „ლიტერატურულმა საქართველომ“.

II. მუსიკის დარგში

ბრეგვაძე ნანი გიორგის ასული (მომღერალი) — ნაყოფიერი საკონცერტო მოღვაწეობისათვის 1992-1994 წლებში.

წარმოადგინეს საქართველოს მუსიკალურმა საზოგადოებამ და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ.

III. სახვითი ხელოვნების დარგში

შავგულიძე ნურადინ გიორგის ძე (მხატვარი) — 1994 წელს გამოფენილი გრაფიკული ნამუშევრისათვის „დიდგორის ბრძოლა“ (ფერადი ფანქარი — 1,40-240 სმ).

წარმოადგინა სურათების ეროვნულმა გალერეამ და სამხატვრო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ.

IV. კინემატოგრაფიის დარგში

მანაგაძე ნოდარ შოთას ძე (კინორეჟისორი) — მხატვრული ფილმის „ნათლიღების“ შექმნისათვის (კონცერნ „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, 1994 წ.)

წარმოადგინეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა და კინოკონცერნმა „ქართულმა ფილმმა“.

V. თეატრის დარგში

თუმანიშვილი მიხეილ ივანეს ძე (რეჟისორი) — ბოლო ორი წლის მანძილზე კინომსახიობის თეატრში განხორციელებული სპექტაკლებისათვის — უ. შექსპირის „ზაფხულის ღამის სიზმარი“ და ჟ. ჟიროდუს „ამფიტრიონი—38“.

VI. საყმაწვილო ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში

ჯანელიძე ნანა თამაზის ასული (რეჟისორი) და **ბერიძე გიორგი პავლეს ძე** (ოპერატორი) — კინოფილმის „იავნანას“ შექმნისათვის (კინოკონცერნ „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, 1994).

წარმოადგინეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა და კინოკონცერნმა „ქართულმა ფილმმა“.

VII. არქიტექტურის დარგში

ბახტაძე ვალერი ვლადიმერის ძე და **ხურცილაძე არჩილ გიორგის ძე** (არქიტექტორები) პოლიკლინიკის განხორციელებული პროექტისათვის რევაზ ლალიძის ქუჩაზე (1994).

წარმოადგინა საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა.

VIII. პუბლიცისტიკის დარგში

1. **აჭიაშვილი ჯემალ დავითის ძე** (პოეტი) — პუბლიცისტური წიგნისათვის „გამოიღვიძე, ქნარო“ (გამომცემლობა „საქართველო“, 1992).

წარმოადგინეს საქართველოს მწერალთა კავშირმა და ჟურნალ „ხელოვნებას“ სარედაქციო კოლეგიამ.

2. **ჭოხონელიძე გიული იასონის ძე** (კინორეჟისორი)— პუბლიცისტური ფილმისათვის „ანთიმოზ ივერიელი“ (კინოკონცერნ „ქართული ფილმის“ ნაწარმოები, 1994).

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ.

3. **ჩხენკელი ლულუ მიხეილის ასული** (კინორეჟისორი) და **ხუროძე ზაზა რევაზის ძე** (ოპერატორი) —ფილმისათვის „ომი წესების გარეშე“ (მხოლოდ ფაქტები. 1994).

წარმოადგინა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტების დამდგენმა კომისიამ.

4. **ჭიაურელი მიხეილ ოთარის ძე** (რეჟისორი), **ჭიჭინაძე გიორგი ამირანის ძე** (რეჟისორი), **მოდებაძე თენგიზ ნოეს ძე** (რეჟისორი), **ბატატუნაშვილი რამაზ გიორგის ძე** (ოპერატორი), **ჭიჭინაძე ამირან ვალერიანის ძე** (სცენარის ავტორი) **ვაჩნაძე ილია ირაკლის ძე** (ოპერატორი) — ორი ფილმისაგან შემდგარი ტელესერიალისათვის „აფხაზეთი, სისხლიანი სეზონი“ და „არაჩვეულებრივი ფაშიზმი“.

წარმოადგინა კომპანია „ქართული ტელეფილმის“ შემოქმედებითმა კოლექტივმა.

ვულოცავთ!

იქნებ გამოჩნდეს ქომაგი!

პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავთ დაარსების 90 წლისთავს „დილა“-ს შემოქმედებით კოლექტივს, ყველას, ვინც შექმნა და წლების მანძილზე ელოლიავა, თავს დასტრიალებდა ჟურნალს — საინტერესოს და მიმზიდველს ხდიდა მას ყმაწვილთათვის.

სხვადასხვა დროს ჟურნალის რედაქტორები დაუმშვენებიათ და პატარების გულში სიკეთისა და სათნოების თესლი გაუღვივებიათ [illegible] მღვიმელს, ნინო ნაკაშიძეს, [illegible], გიორგი ქუჩიშვილს, იოსებ გრიშაშვილს, მაყვალა მრევლიშვილს და სხვებს.

ჭეშმარიტად დიდია ჟურნალის რედაქტორების — ალიო მირცხულავას, ირაკლი აბაშიძეს, გიორგი [illegible]ახიძის, იოსებ ნონეშვილის, მუხრან მაჭავარიანის, რევაზ მარგიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა წვლილი ქართველ შემოქმედთა მოზიდვა-დაახლოებასა და ჟურნალის თავისთავადობის დამკვიდრებაში.

სამწუხაროდ, დღეს ჟურნალი „დილა“ არ გამოდის. არა და, თუ [illegible] გულობს საშუალებაც გამონახებათ საქველმოქმედო ორგანიზაციებს, ბიზნესმენებს... კარგა სპონსორები რომ ჰყავთ სპექტაკლებს, კინოფილმებს, უცხოეთში ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივების გამგზავრებაც – რომ თავს იდეს, მაგრამ, რატომ არავინ წუხს, ნორჩების ჟურნალი რომ არ გამოდის. ნუთუ არა ჰყავთ მათ შვილები, შვილიშვილები; ნუთუ არ სურთ ჩაესმოდეთ ჩვენს პატარებს ჟურნალ „დილას“ მაღალზნეობრიობისა და მაღალადამიანურობისაკენ გამკვალავი კეთილი ხმა, იქნებ, იუბილეს დღეებში მაინც დავამშვიდოთ ჟურნალის შემოქმედებითი კოლექტივი, რომ გულმავიწყობას, გულგრილობას დასჯაბნის გულმოწყალება და გულმხურვალება. გამოჩნდებიან ქომაგნი და ჟურნალი, რომელმაც 90 წლის მანძილზე პირნათლად ატარა პატარების საყვარელი გამოცემის სახელი, კვლავაც გაახარებს ყმაწვილებსა და მათ აღმზრდელებს.

ვულოცავთ ჩვენ, ჟურნალისტთა ფედერაცია, მთელი მისი კოლექტივი ამ შესანიშნავ თარიღს — პირველი ნომრის გამოსვლის 90 წლისთავს რედაქციის თითოეულ თანამშრომელს და ვიმედოვნებთ, მალე გათენდება ისეთი დილა, როცა ჩვენს პატარებს კვლავინდებურ სიხარულს დაუბრუნებს ყველასათვის საყვარელი ჟურნალი „დილა“.

პატივისცემით,
აკაკი სიხარულიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე.

წინაპართა გაკვეთილები

რაინდული ურთიერთობა

ნიკო ნიკოლაძე ახალი ქართული ლიტერატურის რეფორმატორად და მესაძირკვლედ მიაჩნდა ვახტანგ კოტეტიშვილს. [illegible] არა მხოლოდ ქართული სიტყვის რეფორმატორი გახლდათ, არამედ ქართული აზროვნებისაც მაშინ, როცა „საზოგადო აზრს ეძინა, ტვინის განძრევა, გაუმჯობესება, შემუშავება არავის საჭირო საქმედ არ მიაჩნდა“.

ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ნ. ნიკოლაძისეული შეფასება დიდი ილიასი, ვინც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის სააზროვნო საქართველო შექმნა და ქართველები ეროვნული საფიქრალის დროშით გააერთიანა.

ევროპულად განათლებული, რუსეთისა და საზღვარგარეთულ პრესაში პოლემიკაგამოვლილი, შეუვალი მოპაექრე ნიკო ნიკოლაძე როცა საქართველოში დაბრუნდა, თავისი ქვეყნის გარდაქმნა-გაუმჯობესებისათვის ბრძოლა პუბლიცისტური კალმით წამოიწყო. ილია იმჟამად დუშეთს სახლობდა და სახელმწიფო სამსახურში ილეწოდა. ნიკო იგონებს: „1871-73 წლებში რამდენიმე ყმაწვილს რამდენი მეცადინეობა დაგვჭირდა, რომ ილია ჭავჭავაძისთვის სახელმწიფო სამსახურზე ხელი აგვეღებინებინა, ბანკის დაარსება იერიშით აგვეღო, ბანკი განახლების ბანკად გვექცია და შიგ ჭავჭავაძე ძალდატანებით ქართული საქმის სათავეში ჩაგვეყენებინა“.

იმხანად ნ. ნიკოლაძე „დროება-კრებულის“ ფაქტობრივი ხელმძღვანელი გახლდათ. იგი ახალი თაობის იდეური მეთაური და გზის გამკვალავიც აღმოჩნდა, რადგანაც მწერლობას ჩამოშორებული ილია პრაქტიკული საქმიანობით „იბრუნებდა სულს“, ნ. ნიკოლაძემ განაგრძო ილიას გზა — პუბლიცისტური საქმიანობით ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარება და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრებისათვის ბრძოლა.

ჟურნალ „კრებულში“, რომლის რედაქტორიც 1871-73 წლებში ნ. ნიკოლაძე გახლდათ, მან გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია —„გლახის ნაამბობი“, მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა“, რომელშიც განიხილა ლიტერატურულ საქმიანობას დროებით ჩამოცილებული დიდი ილიას შემოქმედება. ეს სტატია პროფესიონალი კრიტიკოსის პირველი მსჯავრია ილიას მხატვრულ შემოქმედებაზე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში.

ეპისტოლარული მემკვიდრეობა ნათელს ხდის, რომ ილია „კრებულის“ რედაქტორის დაკვეთით მუშაობდა დუშეთში. ნიკოს „გლახის ნაამბობის“ დასრულება უთხოვია ილიასათვის (ექვსი თავი 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნდა), თანაც მოთხრობის „გადაკეთების“ რჩევაც მიუცია და დროულად გამოგზავნის პირობა ჩამოურთმევია. პასუხად ილია დუშეთიდან წერს: „გლახის ნაამბობის“ გასწორება ფიქრად აღარა მაქვს, როგორც დაბეჭდილა, ისე გადაბეჭდეთ, დეე, მაგ პირმშო ძემან ჩემმან ისე იაროს ქვეყანაზედ, როგორც თავდაპირველად შობილა, ვისაც არ მოეწონოს, გზა აუქციოს... ცუდი საქმე მიყავით, რომ ეგრე ცოტა დრო მომეცით ნაამბობის შესასრულებლად“.

„გლახის ნაამბობი“ საბაბია ნ. ნიკოლაძისთვის, რათა ბატონყმობის დროს შექმნილი ილიას ნაწარმოების ავ-კარგზე მსჯელობით ლიტერატურის დანიშნულებასა და კრიტიკული რეალიზმის აქტუალურ საკითხებზე ესაუბროს მკითხველს. ამ მოთხრობას რომ იხილავს, ნ. ნიკოლაძე ემყარება ნ. ჩერნიშევსკის სტატიას“ Не начало ли перемены?“, რომელშიც ნ. ნიკოლაძე, ნ. ჩერნიშევსკის მსგავსად, მწერლობისაგან მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების შეუფარავ, შეულამაზებელ ასახვას, ხალხის უკეთესი მომავლის იდეალის ჩვენებას, ერთი კია, „გლახის ნაამბობისა“ და ილიას მხატვრულ კონცეფციას ნ. ნიკოლაძე 50-იანი წლების რუს რეალისტთა შემოქმედებაზე მაღლა აყენებს. ამ სტატიაში ნიკომ აღიარა ილიას [illegible] მის ძალა, მისი [illegible] ოსტატური წერის მანერა, მოთხრობაში ხელოვნების ბევრი მარგალიტი ბრწყინავს. ბევრი ადგილი საქრესტომათიოა. ეს ნაწარმოები მით უფრო საყურადღებოა, რომ „ამ ჩინებული მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენებს, მის უწინდელ გზას გვაცნობს, მის პირველ ენის ამოდგმას გვასწრებსო“, თორემ, „ვეფხისტყაოსნის“ იდეებზე აღზრდილი გაბრო ქართველი გლეხის ტიპიური სახე არ არის, ილიას „კაცია-ადამიანი“ რომ არ დაეწ[illegible] [illegible]ლახის ნაამბობი“ ჩინებულ [illegible] ჩაითვლებოდაო“. „კაცია-ადამიანი“ ნიკოს მხატვრული პროზის შედევრად მიაჩნია, მასზე მსჯელობას სხვა დროისთვის შეჰპირდა მკითხველს, მაგრამ ვერ აასრულა დანაპირები.

მეტად მაღალ შეფასებას აძლევს ნ. ნიკოლაძე „კაკო ყაჩაღს“. ამ პოემას ჰუმანური იდეალებისათვის ბრძოლის გაბედულ სიტყვად მიიჩნევს, ილიას კი „გრძნობით სავსე პოეტად“ თვლის. ნ. ნიკოლაძე ამ პირველ კრიტიკულ წერილში ილიას მხატვრული პროზის სიელვარეს ხალხურ ზეპირსიტყვიერებასთან სიახლოვეში ხედავს.

...გამოხდა ხანი, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ატეხილმა შფოთმა და უსამართლო ბრალდებებმა ნ. ნიკოლაძე აიძულა ქართული პრესისათვის თავი დაენებებინა. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნდა მისი გამოსათხოვარი სტატია „მშვიდობით, მშვიდობით“, მის წამკითხავ ილიას, რომელიც ბანკის წესდების დამტკიცების მომლოდინე პეტერბურგს იმყოფებოდა, ნიკოლაძისთვის შეწუხებული, გაკვირვებული და კატეგორიულობით გამორჩეული ბარათი მოუწერია: „ნუთუ მართლა შენ დასწერე ის, რასაც შენი არ უსახელო სახელი ამ[illegible] [illegible] შეუშ[illegible] და იმათ ბ[illegible]ლოზე [illegible] ვის [illegible]ალმები და რას ესაქმები? სად მიხვალ, სად? შენისთანა კაცი ბრძოლას ექცევა... მერე იცი, რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიც შენ ფალავნად გვეგულებოდი?“ ასე რომ, ილიას და ნიკოს ახალგაზრდობიდანვე მსჭვალავდა ურთიერთპატივისცემა, ურთიერთის იმედი, ერთად მხარში დგომის სურვილი. ნიკო თუ დაუშრეტელი ძალის ტალანტად და ცოდნის ბუმბერაზად თვლიდა ილიას, ილია ნიჭიერ, გამბედავ, კაცურკაცად მიიჩნევდა ნიკოს, „რომელთანაც დამეგობრება და ერთად ღელეში შებმა“ დიდად დასაფასებელიაო —აღნიშნავდა.

გაზეთ „დროების“ ათი წლისთავზე კვლავ ერთ ფერხულში ჩაება ილია და ნიკო განახლებული რედაქციით „დროებას“ ერთად, წარუძღვა ქართული პუბლიცისტიკის ოთხი დედაბოძი — ილია, ნიკო, აკაკი და სერგეი მესხი. „დროებამ“ ფრთები შეისხა. მაგრამ ეს ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1877 წლის მარტში ილიამ დააარსა „ივერია“ და გავიდა რედაქციიდან. „დროება“ მოწონებით როდი შეხვდა ილიას ამ ნაბიჯს, რომელიც დროით იყო ნაკარნახევი. ნიკომ „ივერიის“ პირველი ნომერი განიხილა და ბევრი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვა. უპირველესად ღვარჭნილად მიიჩნია ნომრის მეთაური წერილის ენა, თვით ილიას მიერ დაკანონებული ენის ხალხურობის პრინციპის ღალატად ჩათვალა ამ ნომრის სტილი, დაიწუნა ილიას პუბლიცისტური წერილი და „ივერიის“ მთელი ნომერი მარტო ილიას მიერ არის შედგენილიო, აღნიშნა, სხვა ლიტერატურული ძალა კი აუცილებელია გაზეთისთვისო, — უკიჟინა, თანაც შემდეგი რჩევა შეაშველა: „ნუ დააძალებს თავის ნიჭს, ნუ მოსთხოვს იმას იმისთანა საქმეს, რისი მიცემაც მისს ნიჭს არ შეუძლია, წეროს იმისთანა სტატიები პრაქტიკიდამ, როგორიც „ცხოვრება და კანონია“, ამით „ივერიის“ მნიშვნელობაც შეეძინება და მკითხველებიც და მაშინ ეს გაზეთი ნამდვილ სარგებლობას მოუტანს ჩვენს საზოგადოებას და ხალხსო“.

1878 წელს ნ. ნიკოლაძეც გავიდა „დროების“ რედაქციიდან და გაზეთი „ობზორი“ დააარსა. ამით დასრულდა „თერგდალეულთა ერთიანობა“. მას ბევრი მიზეზი ჰქონდა. უმთავრესი იყოო, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ ჩვენ ყველას სხვადასხვაგვარად გვესმოდა საქართველოს უკეთესი მომავლის მიღწევის გზა.

თანამზრახველთა პოლემიკა გაგრძელდა... ურთიერთობა ნიკოსა და ილიას შორის იმდენად დაიძაბა თუ ბანკის თაობაზე, თუ ლიტერატურული ალმანახის გამო, თუ თეატრალური საზოგადოების საქმიანობის შეფასების გამო, რომ 1880 წლის 4 მარტს ნიკოსა და ილიას შორის დუელი დაინიშნა... სეკუნდანტებმა და გონიერებამ, ურთიერთშეცნობის დიდმა ძალამ, ორივეს დიდბუნებობამ იხსნა საბედისწერო ნაბიჯისაგან ნიკოც და ილიაც. ქართული საზოგადოებრივი აზრისა და თავისი ქვეყნის სამსახური ორივემ შეურცხვენლად განაგრძო... დიდ რაინდობად და შეუდარებელ ზნეობრივ მაგალითად უნდა ჩაითვალოს ნ. ნიკოლაძის ინიციატივა დუელის მცდელობიდან ორიოდე წლის გასვლის შემდეგ ილიას „გლეხთა განთავისუფლების სცენები“ რომ თარგმნა და პეტერბურგში ჟურნალ „Изящная литература“-ში დაბეჭდა (1883 წ. №3).

90-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ყოველკვირეულ ციკლში „შორიდან“ („Со стороны“) განიხილა ქართული პოეზიის ავ-კარგი, ერთმანეთს შედარა ილიასა და აკაკის [illegible] ბუმბერაზი [illegible] მაინც, [illegible] პოეზია განსაკუთრებული რითმულობით, არაჩვეულებრივი მუსიკალობითა და ლირიზმით გამოირჩევა, აკაკის ლექსის ლირიკულობა ა. პუშკინისას შეადარა, მაგრამ მთავარი როლი დღევანდელ მწერლობაში მაინც ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნისო, ირწმუნებოდა, რომელიც არის ადამიანი — ძალა, ადამიანი — შემართება, ადამიანი — შრომისმოყვარეობა, მისი პოეზიის აზრის ძალას ვერავინ უტოლდებაო.

ილიას მკვლელობის სამარცხვინო ფაქტი რომ მოხდა, ნ. ნიკოლაძე თბილისში არ იყო. დაბრუნებული ნიკო წერდა: ვერ ამიხსნია, საიდან იბადება შეცდომა, ვითომ ერთის არსებობა მეორეს ბრწყინვას უშლიდეს? საქმე, ქვეყანა, მზე ყველას არ ყოფნის? ილია ჭავჭავაძის მაგალითზე ვერ აეხილა თვალი ხალხს? რამდენი უცდიდა მის გაქრობას იმ იმედით, რომ მის მაგიერ გავბელადდებიო! მოკვლა ხომ! მისი ადგილი სხვებს ერგო, გაილიავდა ამით ვინმე?

ამის დაწერიდან ოცი წლის შემდეგ სხვა ქარი ქროდა ნიკოს სამშობლოში. ინგლისიდან დაბრუნებულმა ნიკომ კულტურული საკითხების მოგვარება დასვა უკვე საბჭოთა საქართველოს მთავრობის წინაშე. მან ჩამოაყალიბა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა და პავლე ინგოროყვასთან ერთად ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა დაგეგმა. იოსებ იმედაშვილი იგონებს: „თქვენ ილიაზე ზრუნავთ, თქვენი ნაწერების ტომებს როდისღა უნდა ველირსოთ?“ — უკითხავს ნიკოსთვის. მას კი დინჯად უპასუხია: **„ჩემი ნაწერები დროს გაჰყვა, დღეს ჩვენს ხალხს უფრო მეტად ილიას ნაწერები სჭირდება, ილია უნდა აღდგეს!“**

ნიკო ნიკოლაძე უდოგმატო კაცი იყო, ამასთან დიდი რეალისტი. მისი პროგნოზიც აქედან მომდინარეობდა. ასე რომ ნიკოსა და ილიას რაინდული ურთიერთობა ბევრს გვასწავლის დღეს, ბედნიერია ერი, ვისაც ასეთი წინაპრები ჰყავს და ზნეობრივ ძალას ჰმატებს.

დალი ჩიკვილაძე.

რეალობა თუ მიუნჰაუზენის ფანტაზია?

დღევანდელობა

რა დასამალია, დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას ვერც ფინანსურად (ბიუჯეტის სიმცირის გამო) და ვერც ადმინისტრაციულად (მართვის არსებული სტრუქტურის გამო) ვერ ძალუძს ინსტიტუტების სრულფასოვანი მართვა და შენახვა. ასეთ შემთხვევაში რა უნდა ქნან ინსტიტუტებმა, რა გზები იპოვონ, როგორ გადაირჩინონ თავი?

სწორედ ამ პრობლემებს მიეძღვნა საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტის (დირექტორი — აკადემიკოსი ცოტნე მირცხულავა) თანამშრომელთა საერთო კრება, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. კრება, ერთის მხრივ, დირექციისა და აკადემიის წარმომადგენელთა და, მეორეს მხრივ, ინსტიტუტის კოლექტივის უმრავლესობის მწვავე ურთიერთდაპირისპირების ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

ეს ამ საკითხისადმი მიძღვნილი მეორე კრებაა. პირველი 29 ივლისს ჩატარდა (ასევე მწვავე ურთიერთდაპირისპირების ატმოსფეროში), სადაც მიიღეს გადაწყვეტილება ინსტიტუტის სააქციო საზოგადოებად გადაკეთების შესახებ.

ცნობისათვის:

საქართველოს წყალთა მეურნეობისა და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი (ყოფილი ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) 1929 წელს დაარსდა და საქართველოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი უძველესი და მძლავრი ფართო პროფილის სამეცნიერო-საწარმოო დაწესებულებაა, რომლის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ-კონსტრუქციული პროდუქცია საფუძვლად ედო სოფლის მეურნეობის, მელიორაციის, წყალთა მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარებას და პრაქტიკულ საქმიანობას.

1992 წლამდე ინსტიტუტი ჯერ სსრ კავშირის წყალთა მეურნეობისა და მელიორაციის სამინისტროს, შემდეგ კი საკავშირო კონცერნ „წყალმშენის“ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა და სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციის სტატუსს ფლობდა.

სსრ კავშირის დაშლასთან დაკავშირებით, 1992 წლის აპრილში დადგა ინსტიტუტის რომელიმე რესპუბლიკური უწყების დაქვემდებარებაში შესვლის საკითხი. ინსტიტუტის დირექციამ (კოლექტივთან შეთანხმებით) ამჯობინა მისი შეყვანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტრუქტურაში, რამაც გამოიწვია ინსტიტუტის სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა საბიუჯეტო ორგანიზაციის სტატუსით, ინსტიტუტის პროფილის კორექტირება და სახელწოდების შეცვლა.

ინსტიტუტის კოლექტივი მიიჩნევს, რომ ამ ნაბიჯმა კიდევ უფრო დაამძიმა მათი მდგომარეობა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როგორც ამჟამად მოქმედი წესდება, ასევე ახალი წესდების პროექტი და მართვის არსებული სისტემა, სამეცნიერო საბჭოსა და პროფკავშირის უმოქმედობასთან ერთად, იწვევს ინსტიტუტის დღევანდელი სავალალო მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას, კოლექტივის ისედაც მცირე უფლებების შეზღუდვას, შტატების მორიგ შემცირებას, დარჩენილი კვალიფიციური კადრების დაკარგვას, წლობით დაგროვილი ქონების სხვის ხელში გადასვლას, სხვა ორგანიზაციებთან შეერთების საშიშროებას და, საბოლოოდ, უძველესი და მძლავრი სამეცნიერო დაწესებულების ფაქტობრივ გაუქმებას.

აქედან ასეთ გამოსავალს ხედავენ:

ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერებისაგან შემდგარი საინიციატივო ჯგუფი, ანუ პრივატიზაციის სამუშაო კომისია აყენებს წინადადებას შექმნას სააქციო საზოგადოება ინსტიტუტისა და მისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზების გარდაქმნის გზით. ასევე, საინიციატივო ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ინსტიტუტის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან გამოსვლას, რადგან აღნიშნული ინსტიტუტის მეცნიერული პოტენციალისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ჩამოყალიბებასა და შექმნაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას არავითარი წვლილი არ მიუძღვის. („სულ ორი წლის შესულები ვართ!“).

ამ მოსაზრებას მხარს არ უჭერს ინსტიტუტის დირექცია და თანამშრომელთა გარკვეული რაოდენობა (როგორც კრებაზე ითქვა, სულ 13 კაცი).

დირექციის აზრით

— **სინათლეს გვირაბის ბოლოში შეიძლება შევადაროთ სახელმწიფოს მეთაურის ა. წ. 16 აგვისტოს № 259 ბრძანებულება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ. ეს, ჯერჯერობით, ერთ-ერთი სახელმძღვანელო დოკუმენტია, რომელიც იმის საშუალებას იძლევა რომ შემოქმედებითად, არსებული სიტუაციებისა და ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით (კანონიერი გზებით), ავად თუ კარგად, ვიზრუნოთ ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამის ჩანასახი არის ზემოთ აღნიშნულ ბრძანებულებაში. (29 ივლისს, როცა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება ინსტიტუტის სააქციო საზოგადოებად გადაკეთების შესახებ, აღნიშნული ბრძანებულება გამოსული არ იყო — მ. გ.)**

სასოწარკვეთილი უმოქმედობა კარგს არაფერს მოგვიტანს. შესაძლებელია ორიენტაცია ავიღოთ ისეთ მიმართულებაზე, რომელიც მდგომარეობის გაუმჯობესებას მხოლოდ მეცნიერული თემატიკის დამუშავების გზით უზრუნველყოფს. ამ თვალსაზრისით განსაზღვრული პოტენციალი კი გვაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, გვიჭირს დამკვეთების, ანუ მომხმარებლების პოვნა. ამ მხრივ ჩვენი ტრადიციული პარტნიორები თვითონ განიცდიან უკიდურეს სიდუხჭირეს, ხოლო საზღვარგარეთელ მკვეთ-ინვესტორებთან ჯერჯერობით ხელი არ მიგვიწვდება ან კიდევ არ ვიჩენთ ჯეროვან ძალისხმევას, შეიძლება კვალიფიკაციაც არ გვყოფნის. არის ვარიანტი და, ალბათ, ყველაზე რეალური — მეცნიერებისა და წარმოების შეთავსებისა, მაგრამ ამ მოდელსაც უნდა სათანადო დამუშავება: რამდენად სტაბილური იქნება ამგვარი შერწყმა, რამდენად უზრუნველყოფს იგი ჩვენს არსებობას და სხვ.

არის მთლიანად წარმოებაზე გადასვლის ვარიანტიც, მაგრამ ამისათვის არც ფსიქოლოგიურად, არც ტრადიციულად და არც მატერიალურად არა ვართ მომზადებული. ყოველ შემთხვევაში ამგვარი შესაძლებლობა გამორიცხული არ უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, კოლექტივმა თავისი ჩვეული სახე არ უნდა დაკარგოს, იგი მუდამ უნდა ინარჩუნებდეს მეცნიერული კვლევის პრიორიტეტებს. შესაძლებელია ფიქრი კომერციულ მოღვაწეობაზეც, რაც, ასევე, ჩვენი შესაძლებლობების გათვლას მოითხოვს.

შემოსავლების მოზიდვის თვალსაზრისით შესაძლებელია მოისინჯოს კერძო უმაღლესი კურსების გახსნა საინჟინრო ეკოლოგიასა და ეკოლოგიურ საიმედოობაში. საამისო პოტენციური შესაძლებლობები და მატერიალური ბაზა ინსტიტუტს აქვს. ყოველ შემთხვევაში, ამ ჩანაფიქრის თუნდაც ექსპერიმენტულ დონეზე განხორციელება დაგვანახებდა ცხოვრებაში მისი რეალიზაციის შესაძლებლობას.

ასე ვთქვათ, ინტელექტუალური მიმართულების გარდა, შეიძლება მოისინჯოს მწარმოებლური მოღვაწეობაც, რაც ითვალისწინებს რომელიმე კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოებას ან სამუშაოს შესრულებას. მაგრამ ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, წინასწარ უნდა შემუშავდეს სამუშაო და კალენდარული გეგმა, მოხდეს ჩვენს გარშემო არსებული თუნდაც კრიმინოგენული და ასევე სხვა სიტუაციების გათვალისწინება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ფანტაზიით შეიძლება მიუნჰაუზენის როლში აღმოვჩნდეთ.

შემოთავაზებულ წინადადებებს შორის დღესდღეობით რეალურ შედეგს იძლევა მხოლოდ ინსტიტუტის შენობის ნაწილის იჯარით მიღებული თანხები, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავფაროთ კომუნალური და სხვა გადასახადები, უნდა ითქვას, რომ ამ თანხების თანამშრომელთა ხელფასების გაზრდის მიზნით გამოყენება უკანონოა. თუმცა, ამჟამად ინსტიტუტის მიერ ზემდგომი ორგანოების წინაშე (მარტო აკადემია ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს) დასმულია თანამშრომელთა „შევიწროების“ გზით იჯარით გაცემული ფართობიდან შემოსული თანხების ნაწილი მაინც მოხმარდეს კოლექტივის სოციალური დაცვის ინტერესებს. მაგრამ ეს სახსრებიც ამოუწურავი არ არის, როგორც ერთი შეხედვით ჩანს, მოიჯარეები არც ისე დიდი ენთუზიაზმით მოდიან. არა, მოსვლით კი მოდიან, მაგრამ ხელშეკრულების საბოლოო გაფორმებაზე რატომღაც თავს იკავებენ და არა ჩვენს მიერ წაყენებული პირობების სიმძიმის გამო, ეტყობა აქ უფრო სხვა მოსაზრებებია მხედველობაში მიღებული.

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროა საზღვარგარეთის პროგრამები, გარანტიები და ა. შ. მაგრამ სამართლიანობის მიზნით უნდა ითქვას, რომ ამ პროგრამების მოთხოვნათა დაკმაყოფილება და შემდგომ კონკურსში გამარჯვება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, თუმცა, გულმოდგინეობამ და კვალიფიკაციის ამაღლებამ შესაძლებელია დადებითი შედეგიც გამოიღოს. ამ მიმართებით პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით კიდეც, მაგრამ შეგვატყობინეს, რომ პრაქტიკულად ჯერ არ ყოფილა პირველი მცდელობით განაცხადის დაკმაყოფილების შემთხვევა.

მაგრამ ჩვენი ძირითადი და ასე ვთქვათ, კანონიერი დაფინანსების წყარო მაინც სახელმწიფო ბიუჯეტია, საიდანაც მომავალში მეტის მიღების იმედი, ალბათ, არ უნდა გვქონდეს. ამის მიუხედავად, პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ ჩვენს ძირითად საქმიანობას — წლიური სამეცნიერო ანგარიშისა და მასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებას. ეს არის ჩვენი ძირითადი პროდუქცია, ჩვენი სახე, ჩვენი მოღვაწეობის შედეგი.

ასეთია დირექციის წინადადებები კრიზისის დასაძლევად. მას არ იზიარებს საინიციატივო ჯგუფი (და მასთან ერთად კოლექტივის დიდი უმრავლესობა). თავის მხრივ დირექციას რეალურად არ ესახება ინსტიტუტის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნა და საინიციატივო ჯგუფისაგან ამ საკითხზე კონკრეტული გეგმის წარმოდგენას მოითხოვს („წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ფანტაზიით შეიძლება აღმოვჩნდეთ მიუნჰაუზენის როლში!“), კონკრეტული გეგმა კი ჯერჯერობით საინიციატივო ჯგუფს, ანუ საპრივატიზაციო სამუშაო კომისიას, როგორც ჩანს, არ გააჩნია, თუმცა, ასეთი გეგმით ვერც დირექცია დაიკვეხნის.

ყოველივე ამის გამო, ამჟამად ინსტიტუტში შეიქმნა არასასურველი სიტუაცია, გამოიკვეთა ორი ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული კონცეფცია.

ინსტიტუტის თანამშრომელთა საერთო კრებამ ხმათა უმრავლესობით მიიღო გადაწყვეტილება ინსტიტუტისა და მისი სამეცნიერო-საწარმოო ბაზების გარდაქმნის გზით შექმნას სააქციო საზოგადოება. კრებაზე მიღებული დადგენილების პროექტში ნათქვამია, რომ შექმნილ სიტუაციაში ინსტიტუტის კოლექტივი მიზანშეწონილად თვლის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან ინსტიტუტის გამოსვლას.

დირექცია არ ეთანხმება კრების გადაწყვეტილებას, თვლის, რომ კენჭისყრა არაობიექტურად, წესების დარღვევით ჩატარდა, მოითხოვს კრების ხელახლა მოწვევას. გაღატაკებული კოლექტივი კი არ იცდის, არ სურს საქმის სახვალიოდ გადადება. კოლექტივი საინიციატივო ჯგუფის მხარეზეა. საინიციატივო ჯგუფის წამოწყება კი რეალურია თუ მართლაც მიუნჰაუზენის ფანტაზიაა, ამის მსაჯული ხვალინდელი დღეა.

კოლექტივს მიაჩნია, რომ სამეცნიერო და მეცნიერების მომსახურების დაწესებულებები დამოუკიდებლად უნდა საზღვრავდნენ თავის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, თუ ამის შედეგად არ იცვლება მათი მეცნიერული საქმიანობა, სწორედ ამიტომაც ეიმედებათ კანონი „საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების შესახებ“, რომელიც სულ მალე უნდა შევიდეს ძალაში. ასევე, იმედს არ კარგავენ, რომ მათი პრობლემით, დღეს იქნება თუ ხვალ, მთავრობაც დაინტერესდება.

მზია გელენავა.

კოსმოსიდანაც შევხედოთ საქართველოს

თანამედროვე ურბანიზებულ მსოფლიოში გარემოს დაცვისა და ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზის პრობლემები ძალზე აქტუალურია.

ქართული ტექნიკური ინტელიგენციისათვის თავისთავად ცხადია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ რა მდგომარეობაშია საქართველოს ბუნებრივ-ლანდშაფტური ეკოსისტემები XX საუკუნის მიჯნაზე.

რესპუბლიკის რთული მთიანი რელიეფი, გეოლოგიური აღნაგობა, გეომორფოლოგიური და კლიმატური პირობები ხელს უწყობს ზედაპირული წყლების არასასურველ ზეგავლენას გარემოზე, რაც გამოიხატება ბუნების სტიქიური მოვლენების გამოვლინების სიხშირის ზრდის ტენდენციით. მაგალითად, [illegible]0 ათასი ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული სხვადასხვა ხარისხით არის ეროზირებული და დაკარგული აქვს ბუნებრივი ნაყოფიერება. ყოველწლიურად სუსტად ჩამორეცხილ ნიადაგებზე იკარგება სასოფლო-სამეურნეო მოსავლის 15-20 პროცენტი, 30-[illegible] პროცენტამდე საშუალო ჩამორეცხილზე, ხოლო 50-60 პროცენტი კი ძლიერ ჩამორეცხილ ნიადაგებზე. აქტიური ხრამების საერთო სიგრძე აღემატება 2 ათას კილომეტრს. მეწყრული მოვლენები აღრიცხულია 15 ათას უბანზე, დადგენილია 2 ათასზე მეტი აუზი, დამახასიათებელია ღვარცოფული მოვლენებით. მარტო 1987-1988 წლებში ბუნების სტიქიური მოვლენების, კერძოდ, წყალდიდობებისა და ღვარცოფული ნაკადების მოქმედების შედეგად დაზიანდა 60 ათასი ჰა სავარგულები, იყო ადამიანთა და პირუტყვის მსხვერპლი. ამას ემატება რესპუბლიკის დიდ ქალაქებში ჰაერის, შავი ზღვისა და ხელოვნური წყალსატევების გაბინძურების პრობლემები და ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოში შეიმჩნევა „ეკოლოგიური დესტაბილიზაციის“ პროცესის მკვეთრი ზრდის ტენდენცია.

დღის წესრიგში დგება გარემოს დაცვისა და ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზირების ზუსტი მეთოდების დამუშავება, რომელთა განხორციელებაში ერთ-ერთ ეფექტიან ეკონომიკურ ღონისძიებად გვევლინება აეროკოსმოსური გადაღებების აღდგენა. ამ მეთოდით შესაძლებელია მთის ლანდშაფტებში ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების რეგულირება, წყლის რესურსების ოპტიმალური მართვა და გაბინძურების დაცვის ღონისძიებების დამუშავება და ა. შ.

აეროკოსმოსური სურათებიდან კომპიუტერების გამოყენებით შესაძლებელია მივიღოთ შერჩეული ინფორმაცია, რომელიც გრძელვადიანი პროგნოზების საშუალებას მოგვცემს.

ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ძირითადი ბაზისი დედამიწის ზედაპირის ქერქის მეცნიერული შესწავლაა. მისი ტექტონიკური მდგომარეობა, ცვალებადობა მჭიდროდ არის დაკავშირებული დედამიწის გარსებში მიმდინარე პროცესებთან.

გარე და შიდა ფაქტორების ურთიერთმოქმედების შედეგია ბუნებრივი ლანდშაფტი, რომელიც ვითარდება გეოლოგიური აგებულების საფუძველზე და მასში ჩართულია რელიეფი, დედამიწის ქერქის თანამედროვე ტექტონიკური მოძრაობის გათვალისწინებით.

ურბანიზაცია და გარემოს დაცვა

ბუნებრივი ლანდშაფტების შესწავლა იწყება ლითოსფეროს აეროკოსმოსური კვლევებით, რომელთა შორის პირველ ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს დედამიწის რელიეფი. იგი — ჩვენი პლანეტის ოროგრაფია, თითქოს კარგად ვიცით, მაგრამ კოსმოსური გადაღებებით აღმოჩნდა ტბები, მდინარეთა შენაკადები, ქედები და სხვა, რომლებიც რუკებზე საერთოდ არ იყო აღნიშნული.

მდინარეთა ხეობები, მთის ფერდობების ეროზირებული უბნები კოსმოსურ სურათებზე შესანიშნავად აისახება მთის ლანდშაფტისათვის დამახასიათებელი შესაბამისი მცენარეულობით, იმ ადგილებში, სადაც ამჟამად მიმდინარეობს დედამიწის ქერქის დაწევა, შეიმჩნევა მდინარეთა ინტენსიური მეანდრეობა, კალაპოტების დეფორმაცია და სხვა, ხოლო ხეობების თანამედროვე და უძველესი აგებულების დეტალების ცოდნა მეტად მნიშვნელოვანია სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიებისას.

გლობალურ კოსმოსურ სურათებზე გეოლოგებმა პირველად აღმოაჩინეს ტექტონიკური დარღვევის ტრანსკონტინენტური ზონები, რომლებიც გადაკვეთს აფრიკის კონტინენტს, ხოლო სუპერლინიამენტების განფენილობა ათასობით კილომეტრს აღწევს. ზოგიერთ ადგილებში ლინიამენტებს უკავშირდება მიწისძვრის ეპიცენტრები და სხვა.

გარემოს დაცვის კოსმოსური კვლევის მთავარი ორიენტირია ბიოსფერო, რომლის მდგომარეობაზეც უშუალოდ არის დამოკიდებული ადამიანისა და საერთოდ ცოცხალი სამყაროს არსებობა. კოსმოსური კვლევის ერთ-ერთი მიმართულებაა ნიადაგების, მცენარეული საფარის, ცხოველთა სამყაროს მდგომარეობის რუკების დამუშავება და შესწავლა. ზოგიერთ ქვეყანაში რუკებზე გამოყოფილი ნიადაგური კატეგორიების ტიპიზაცია სრულდება ისეთი ნიშნებით, რომლებიც მნიშვნელოვანია ნიადაგების დამუშავებისა და მისი მიწათსარგებლობისათვის. აეროკოსმოსური გადაღებისას ნიადაგური საფარის საერთო ნიშნები განისაზღვრება არაპირდაპირი ლანდშაფტური ნიშან-თვისებების სერიებით: რელიეფის ფორმით (მათ შორის მიკრორელიეფითაც), ეროზიული ქსელის სტრუქტურით, მცენარეულობით, მიწათსარგებლობით და სხვა. ნიადაგების რუკების შედგენისას ფერადმა კოსმოსურმა გადაღებებმა ორჯერ შეამცირეს სურათების დეშიფრირების დრო. ბუნებრივ ლანდშაფტში მიმდინარე ეროზიულ-ღვარცოფული პროცესების პროგნოზირების ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად გვევლინება მცენარეულობის სიხშირის დადგენა აეროკოსმოსურ სურათებზე. მცენარეული საფარის კლასიფიკაციის ამოცანა ეფექტიანად ამოიხსნება მრავალსპექტრული სკანერული გადაღებების მასალების გამოყენებისას. ასეთი მასალებით ჩვენი რესპუბლიკისათვის შეიძლება აიგოს კარტოგრაფიული ფენოლოგიური მოდელი, რომელიც გამოიყენება მცენარეულობის მდგომარეობის, ნათესების, მოსავლის პროგნოზისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების დაგეგმარების განსაზღვრაში, აგრეთვე ზოოგეოგრაფიის განვითარების ზოგიერთი პრობლემის გადასაწყვეტად.

მკითხველთა ყურადღება გვინდა შევაჩეროთ რამოდენიმე საინტერესო ექსპერიმენტზე, რომელთა დაკვირვებებიც ხორციელდება კოსმოსური გადაღებების გამოყენებით. თანამგზავრ „ლანდსატიდან“ მიმდინარეობს საინტერესო დაკვირვებები ბუნების ისეთი სტიქიური მოვლენის დასაფიქსირებლად, როგორიც არის კალიების შემოსევა. ფაუნის გადარჩენის საქმეში საინტერესო ექსპერიმენტი მოეწყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. კერძოდ, ვაიომინგის შტატის ერთ-ერთ ნაკრძალში, იმისათვის, რომ თვალყური ედევნებინათ ცხენ-ირემის მიგრაციისათვის, ზოგიერთ ცხოველს კისერზე ჩამოკიდეს რადიოგადამცემი, რომლებიდანაც სიგნალები გადაეცემოდა თანამგზავრს „ნიმბუს-3“ და სხვა.

კოსმოსური გადაღებებით დადგინდა, რომ ადამიანის ჩარევა საუკუნეებით ცვლის პლანეტის პირვანდელ სახეს ანტროპოგენული თვალსაზრისით. მხოლოდ ახლა ვიწყებთ ფიქრს იმაზე, თუ რა მავნე ზეგავლენა შეიძლება იქონიოს ადამიანის ასეთმა აქტიურმა ჩარევამ დედამიწის გარე, ჩვენთვის მისაღწევ გარსზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველნაირი ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის. დადგა დრო სერიოზულად გავისარჯოთ გარემოს დასაცავად და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების პრობლემების გადასაწყვეტად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოს რესპუბლიკაში დღის წესრიგში დგება გარემოს კვლევის ისეთი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების ჩამოყალიბება, სადაც დამუშავდება გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური მეცნიერების კოსმოსური კვლევების განვითარების თანამედროვე სტრატეგიული მიმართულებები. უწინარესად აუცილებელია ეროვნული ეკოლოგიური მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობის კომპლექსური შეფასება; მსოფლიო გარემოს დაცვის კოსმოსური კვლევის სტრუქტურებში ეროვნული მეცნიერების ჩაბმა და სხვა.

გარემოს დაცვის „ეკოლოგიური დესტაბილიზაციის“ შეჩერებისა და მისი გაუმჯობესების საქმეში განსაკუთრებული როლი უნდა შეასრულოს კოსმოსური კვლევების ეროვნული კონცეფციის დამუშავებამ, რომელშიც სხვა პრობლემებთან ერთად განხილული იქნება ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზირების ზუსტი მეთოდები. ეს კი გამოიწვევს ძველი სტერეოტიპების მსხვრევას, ახალი არატრადიციული მიდგომების, მეთოდების მეცნიერული კრიტერიუმების დამუშავებას და სხვა. დღის წესრიგში დადგება ახალი კადრების მომზადება, რომლებიც დაამუშავებენ გარემოს დაცვის აეროკოსმოსური კვლევების მეცნიერულ კონცეფციას. ეს კონცეფცია უნდა შეესაბამებოდეს დამოუკიდებელი საქართველოს განვითარების ეროვნულ ინტერესებს.

საქართველოში, რომელიც სახელმწიფოებრივი მშენებლობის პირველ ფაზაშია, განსაკუთრებული ყურადღება უნდა ეთმობოდეს სამხედრო სტრატეგიის მეცნიერულ შემუშავებას, რომლის დამუშავების პროცესში ძირითად საკვანძო საკითხად გვევლინება ზუსტი სამხედრო (საიდუმლო) რუკების შექმნა, ეს კი დაკავშირებულია აეროკოსმოსური გადაღებების განახლებასთან.

დასასრულ, დროა დამუშავდეს გარემოს დაცვისა და ბუნების სტიქიური მოვლენების პროგნოზირების აეროკოსმოსური კვლევების მეცნიერულად დამუშავებული ეროვნული პროგრამები, რომლებიც მომავალში, შთამომავლობისთვის ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრის კეთილდღეობის სამსახურში ჩაყენების გარანტი იქნება.

როსტომ ჩეკურიშვილი,
პროფესორი;
გივი გავარდაშვილი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ინფორ[illegible]

სოფიის შემოდგომის ქართული შტრიხები

3 ნოემბერს ბულგარეთის დედაქალაქში გაიხსნა ქართული კინოს დღეები. ერთი კვირის მანძილზე სოფიის კინემატოგრაფის მოყვარულებს პირველად მიეცათ შესაძლებლობა გაეცნონ ქართული კინოხელოვნების ფართო პანორამას. დღესასწაულის პროგრამაში შევიდა რვა სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ფილმი, მათ შორის ბოლო წლებში გადაღებული ფილმები — რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა“, ნანა ჯანელიძის „იავნანა“, მარინე ხონელიძის „პატარა მეგობრები“, დავით ნაცვლიშვილის „ლეონარდო“, დიმიტრი ცინცაძის „ზღვარზე“, ალეკო ცაბაძის „ლამის ცეკვა“, ნოდარ მანაგაძის „ნათლისღება“, გაიმართება ფილმების „მეტიჩარასა“ და „პეპელას“ სოფიური პრემიერა, რომელთა ავტორები არიან ბულგარელი ნელი ნენოვა და მისი მეუღლე გენო წულაია. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე სტუდენტური ფილმების პროგრამა, რომელთა შორის არის ამირან შიხინაშვილის „კაცუნა“ და ლევან ღლონტის „დღე“.

კვირეულის გახსნის წინ სოფიაში გამოვიდა ბუკლეტი წარმოდგენილი ფილმების ფილმოგრაფიითა და ბულგარელი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ პროფესორ გოგი დოლიძის შესავალი სტატიით, ბულგარელი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორია ხომ ცხრა საუკუნისაა.

უზენაესი სასამართლოს დარბაზიდან

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გამსვლელ სესიაზე, ქ. ცაგერში, ჯემალ ლეონიძის თავმჯდომარეობით, განიხილა თენგიზ ბურჯალიანისა და თამაზ ლეშკაშვილის საქმე, რომლებიც წინასწარი შეთანხმებით, სოფელ ორბეთში ლურხმნის ჩამომსხმელი ყალიბის გასატაცებლად შეიპრნენ კოლმეურნეობის სამჭედლოში. ისინი შეამჩნია დარაჯმა რაუდენ ბურჯალიანმა, იცნო კიდეც ბოროტმოქმედნი და გადაწყვიტა დანაშაულის აღკვეთა; მხილების შიშით და კვალის დაფარვის მიზნით თავდამსხმელებმა გადაწყვიტეს მოეკლათ დარაჯი. თ. ლეშკაშვილმა თავში ნაჯახი ჩაარტყა რ. ბურჯალიანს. იმ იმედით, რომ დარაჯი სიცოცხლეს გამოასალმეს, დამნაშავენი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

გადაუდებელი სამედიცინო ღონისძიებების შედეგად რ. ბურჯალიანს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულისათვის თ. ლეშკაშვილს მიუსაჯა 11 წლით, ხოლო თ. ბურჯალიანს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით.

განაჩენი აღსრულებულია

1993 წლის 2 თებერვალს წარსულში ორჯერ ნასამართლევი თეიმურაზ მირესაშვილი და გიორგი როსტიაშვილი მთვრალები, წინასწარი შეთანხმებით, თავს დაესხნენ სოფელ ძეგვში მცხოვრებ სერგო სოლოღაშვილის ბინას. გააღვიძეს მოხუცი სახლის პატრონი და მოსთხოვეს ნახევარი ლიტრი არაყი, შემდეგ კი ფული. შეშინებულმა ს. სოლოღაშვილმა მისცა მათ არაყი და 25000 მანეთი. ბოროტმოქმედნი ამით არ დაკმაყოფილდნენ; მირესაშვილი შეეცადა სიკვდილის მუქარით გამოეძალა მისთვის უფრო დიდი ოდენობის თანხა, მაგრამ ვერაფერს გახდა, მაშინ მან იქვე იატაკიდან აიღო ნაჯახი და თავში ორჯერ ჩარტყმით სიცოცხლეს გამოასალმა ს. სოლოღაშვილი. ყაჩაღებმა ოჯახიდან გაიტაცეს სხვადასხვა ძვირფასეულობა და მიიმალნენ.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დამნაშავეებად ცნო ისინი და განუსაზღვრა: გ. როსტიაშვილს 13 წლით თავისუფლების აღკვეთა (ქონების კონფისკაციით), მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით. თ. მირესაშვილს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა, განაჩენი აღსრულებულია.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

მწვავე პრობლემა

მომავლის საქმე

აირჩიე რა უფრო მოგწონს გიმნაზია, კოლეჯი, ლიცეი თუ სკოლა, რომელი უფრო უკეთესია. ხუმრობა გვერდზე გადავდოთ და მართლაც, რომ ფრიად სერიოზული კითხვაა. მასზე პასუხის გაცემა არამც თუ პატარებს, მშობლებსაც უჭირთ. ბევრი მათგანი, ვინც შვილი სკოლაში უნდა მიიყვანოს, ფიქრით თავს იმტვრევს. რომელი ამოირჩიოს, როგორი სწავლება სჯობს, სად შეიყვანოს სასწავლებლად პირმშო.

უწინ ეს პრობლემა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დგებოდა ხოლმე დღის წესრიგში, ახლა — სკოლაში შესვლის წინ. ამას ემატება ფასიანი სწავლება, მასწავლებელთა ნაკლებობა, სახელმძღვანელოების დეფიციტი, სასკოლო ნივთების სიძვირე. მოკლედ, ადამიანს თავი გისკდება ფიქრისგან, როგორ მოაგვარო ამდენი პრობლემა და მაინც მოვიდა პირველი სექტემბერი, ცოდნის დღე, ზეიმით, ცრემლიანი თვალებითა და ბედნიერი ღიმილით.

ასე შემოაბიჯა სექტემბერმა დიდ დიღომშიც, საქართველოში ერთადერთ ხელოვნების კოლეჯშიც. აკი მოგახსენეთ, მომრავლდა-მეთქი კოლეჯები. მაგრამ პირველად სწორედ აქ, ქალაქის ახალ რაიონში გაიხსნა კოლეჯი, ამ საქმის დაწყება კი ნამდვილად არ იყო იოლი..

— მსოფლიო ცივილიზაციამ უდიდესი ძალისხმევის მიუხედავად დღემდე ვერ შექმნა ბავშვთა სწავლა-აღზრდის ერთიანი, სრულყოფილი სისტემა, — ამბობს მისი გენერალური დირექტორი ციცო ჯაფარიძე. — ბუნებრივია, რომ დიდი იაკობ გოგებაშვილის სამშობლოში განათლების სისტემის მოწყობის ძიებაში ასეთი მრავალფეროვნებაა. დღეს, როცა დიდსა და პატარას უჭირს, განათლებამ ქვეყნის გადამრჩენის ფუნქცია შეიძინა. ჩვენ რომ დაველოდოთ ახალი კანონების, კონცეფციების ჩამოყალიბებას ან შეცვლას, დროსთან ერთად თაობებიც ჩაივლის. ამიტომ დიდი ძალისხმევის საფასურად საინტერესო გავხადეთ ჩვენთან სწავლა და თანამშრომლობა.

ჩვეულებრივი საგანმანათლებლო სკოლისაგან კოლეჯი მარტო სახელწოდებით როდი განსხვავდება. აქ სწავლის მეთოდებიც შეცვლილია, პროგრამებიც ჩვენი შედგენილია. ყველა სხვა საგანთან ერთად, პროგრამებში დამატებული გვაქვს ხელოვნებისა და რელიგიის ისტორია, მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, პატარები პირველივე კლასიდან უცხო ენებს სწავლობენ.

თითოეულ კლასს თავისი აღმზრდელი ჰყავს. პირველ სამ წელიწადს ბავშვებთან ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები, ტესტირებასა და მონაცემებზე დაკვირვების საფუძველზე მათ მიდრეკილებას სწავლობენ, ადგენენ რომელი მიმართებით სჯობს სწავლის გაგრძელება, მხოლოდ ამის შემდეგ ხდება მათი განყოფილებებში განაწილება.

კოლეჯში რომ ჩაირიცხონ, პატარებმა შესარჩევი ტური უნდა გაიარონ. აქ მოსული სულ მალე მოერგება კოლეჯის ცხოვრებას; რადგანაც მათ არავინ აიძულებს ისწავლონ, გაკვეთილებს არავინ აცდენს, პატარები აკეთებენ იმას, რაც მათთვის საინტერესოა. მთელი არსებით შემოქმედებით და ჰარმონიულ ცხოვრებაში ჩაბმულებს იძულებით ვერავინ მიუთითებს.

სულ რამდენიმე წლის ისტორია აქვს ამ კოლეჯს და უკვე მოასწრო არა მარტო ჩვენს დედაქალაქში, არამედ რესპუბლიკაშიც პოპულარული გამხდარიყო. ეს კი ბევრმა რამემ განაპირობა, განსაკუთრებით თვალში საცემია აქაური პედაგოგიური კადრები.

— ხშირად მსმენია, — მეუბნება ციცო, —პედაგოგად კი არ ყალიბდებიან, პედაგოგად იბადებიან. მეც ამ აზრისა გახლავართ. ჩვენ დიდი მონდომებით ვარჩევთ მათ. თავდაპირველად მასწავლებელს ვესაუბრებით, სწორედ ამ დროს ვადგენთ, რომ კარგ სპეციალისტთან ერთად არის თუ არა იგი უპირველესად იმ თვისების მატარებელი, რომელიც საჭიროა ჭეშმარიტი პედაგოგისათვის. სიამაყით ვამბობ, რომ ნამდვილად საუკეთესო პედაგოგები გვყავს.

საერთაშორისო კონტაქტებსაც არ ივიწყებენ აქაურები, ურთიერთობა დაამყარეს გერმანელ და ინგლისელ კოლეგებთან.

თვითონ ციცო ჯაფარიძე იყო ინგლისში, წმინდა მარტინის სახელობის ხელოვნების კოლეჯში. ახლა ხელშეკრულების თანახმად ინგლისში საქართველოდან მოსწავლეებს ელიან.

თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრეს, ისე გავიდა ხუთი წელიწადი, ჩვენი რესპუბლიკის გასაჭირის მიუხედავად, აქ ცხოვრების ტემპი არ შენელებულა. მცირე კოლეჯის ბიუჯეტზე უმაღლესი კოლეჯი საქართველოში პირველად სწორედ აქ გაიხსნა, კონსერვატორიისა და სამხატვრო აკადემიის ყველა დარგებს მიემატა იურიდიული, ჟურნალისტიკა, ხელოვნებათმცოდნეობა, თეატრმცოდნეობა, მოდელირება. წლეულს — უცხო ენები, დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა, სკოლამდელი აღზრდა.

ვფიქრობ, საქართველოში ჯერჯერობით ერთადერთია მსგავსი დაწესებულება, სადაც მშობელს შეუძლია შვილი საბავშვო ბაღში შეიყვანოს და იქიდან უმაღლესის დიპლომით გამოიყვანოს.

63-ე საბავშვო ბაგა-ბაღი (დირექტორი ქ-ნი ლამარა მოსიძე) და თაქთაქიშვილის სახელობის მე-13 სამუსიკო სკოლა ამ კოლეჯის საბაზო დაწესებულებებია.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო პოპულარული ხდება დიღომის კოლეჯი. მასში სწავლის მსურველები ძალიან ბევრია. დიდ ინტერესს იწვევს მისი აღსაზრდელების გამართული მუსიკალური საღამოები თუ თეატრალური წარმოდგენები. აქაური მოსწავლეებისა და სტუდენტების ნამუშევრების გამოფენას არაერთი მოუყვანია აღტაცებაში. კოლეჯში მოხვედრილთ გააოცებთ იშვიათი სინატიფით შესრულებული მაკრამეთი მორთული კედლები, ნაქსოვი, თუ ნახატი, ლამაზი თოჯინები და ნაძერწები, აქაური აღსაზრდელების ნახელავი სათუთად გამოუფენიათ პედაგოგებს და სიამაყით მათვალიერებინებენ.

დროს მზაკვრული ხელი აქაურობისთვისაც დაუტყვია. წვიმისგან ჩამორეცხილ კედლებს და აყრილ პარკეტს დისონანსი შეაქვს აღსაზრდელთა ცხოვრების ჰარმონიაში.

— კულტურისა და განათლების სამინისტროები მზრუნველობას ნამდვილად არ გვაკლებენ, მაგრამ პრობლემები მაინც საკმარისია. ახლა, დიდი გაჭირვების მიუხედავად, რემონტისათვის მცირე თანხის გამოყოფაც მოახერხეს, — ამბობს ციცო, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ბევრი საინტერესო და სასარგებლო ღონისძიება გვაქვს ჩაფიქრებული და ასეთი პირობების გამო თავს ვიკავებ. წლეულს კომპოზიტორთა კავშირმა გაგვიმართა ხელი, მათ შენობაში ტრადიციული კოლეჯის დღეები მაინც გავმართეთ.

ფასიან კონცერტებსაც ვმართავთ და იქიდან შემოსულ თანხას ქველმოქმედებისათვის ვიყენებთ. ასე იყო მაშინ, როცა ივანე მაჩაბლის საზოგადოებას და თბილისის პირველი საშუალო სკოლის აღდგენას შევეწიეთ. ახლა ჩვენც ძალიან გაგვიჭირდა.

დიდხანს ვაკვირდებოდი ციცო ჯაფარიძის საქმიანობას. ვფიქრობდი რა გამოარჩევს სხვებისგან, რატომ გახსნა მან პირველმა საქართველოში კოლეჯი, რატომ გამოუყვეს მას პირველს ავტობუსი? როცა ამ ახალგაზრდა ქალს გაეცნობით, პირველი, რაც თვალში გეცემათ, ეს არის მისი უდიდესი ენერგია და სიხალისე.

ერთი შეხედვით ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს არასოდეს არც გაჭირვება უნახავს და არც არასოდეს უდარდია. ერთი კია, მას გაჯავრებულს იშვიათად ნახავთ. მაგრამ ვაი, რომ ბევრი დარდი აქვს და გაჭირვებაც არ მოჰკლებია. სრულიად ახალგაზრდა დაქვრივდა. ხშირად მინახავს როგორ ევსება ხოლმე ცრემლით თვალები, მაგრამ ძალიან ახლოს უნდა იცნობდე, ეს რომ შეამჩნიო. მუდამ მზად არის გაჭირვებულს დაეხმაროს.

დაჰქრის დილიდან გვიან საღამომდე ქალაქში ციცო ჯაფარიძე. ზოგს წიგნი უნდა უშოვოს, ზოგს წამალს მოურბენინებს, მასაჟს გაუკეთებს.

ციცო ფიტოთერაპიის ტრფიალიც გახლავთ, მას სახლში ხშირად აკითხავენ პაციენტები და ისიც დიდი სიფაქიზით მკურნალობს გაჭირვებულებს, არც დამწვრობის მალამოს დამზადება ეზარება და არც დაჭრილისა და დაწყლულებულის, ბევრ ბალახს ცნობს და ბევრი მცენარის საიდუმლო იცის. ბიოდენებითაც მდიდარია და უშურველად გასცემს თავის ენერგიას. ყველაფერს ასწრებს. ისე არ დაალამებს, სოფიო ბებო არ მოინახულოს და თავის პატარა შვილიშვილს ნარიმანს არ დახედოს. ეს მხოლოდ ნაწილია იმ საქმიანობისა, რასაც ციცო ჯაფარიძე აკეთებს. ამ ბოლო დროს იგი საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“ კულტურისა და მეცნიერების ჯგუფის ხელმძღვანელიც გახდა. ამ ქალბატონებმა თუ ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთეს, ამაში ციცოსაც მიუძღვის წვლილი.

სიტყვის ქალია ციცო და სხვისგანაც ამას მოითხოვს. თუ კი რამის გაკეთება გადაწყვიტა, წინ ვერაფერი დაუდგება. სანამ მიზანს არ მიაღწევს, არ მოისვენებს. ყველას შეაწუხებს, ყველას აიძულებს, რომ მოეხმარონ ალბათ ასეთი თვისებებით დაჯილდოვებული რომ იყო, ამიტომ შეძლო ამდენის გაკეთება. დღეს ვერავის გააკვირვებთ საქმიანი ქალებით, რასაც ციცო აკეთებს, მას მომავლის საქმეს დავარქმევდი.

ასეთებად იბადებიან, ერთი შეხედვით მასაც და მის საქმიანობასაც სრულყოფილებამდე ბევრი აკლია, მაგრამ ერთი კია, ალბათ, მოვა დრო, ყველაფერი დაიხვეწება, ციცოც და მისი პედაგოგებიც მეტ გამოცდილებას შეიძენენ, ბევრ ახალგაზრდას გაუკვალავენ გზას. ამის გარანტიას კი კოლეჯის გენერალური დირექტორი და მისი კოლექტივი ნამდვილად იძლევა.

მარადი ანასაშვილი.

ერთად უნდა ვებრძოლოთ!

ეს გზა შიმშილისკენ მიდის

კრიმინალურ სამყაროში ყველაზე მასობრივი დანაშაული ამჟამად პირუტყვის დატაცებაა. იტაცებენ მსხვილფეხა პირუტყვის ჯოგებს, ცხვრის ფარებს, ღორის კოლტებს, ცხენის რემებს, ფრინველს, ბოცვერს...

ახლახან ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ნორიოს მეხორცული მიმართულების მეფრინველეობის ფაბრიკას. დარაჯ-მორიგეები შეკრეს, ოთახში გამოკეტეს, 47 სული ღორი ავტომანქანაზე დატვირთეს და წაასხეს.

— სამწუხაროდ, ეს პირველი შემთხვევა როდია, — აღშფოთებით გვიამბობს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თვალსაჩინო ორგანიზატორი მერი მდივანი. — შარშან 228 სული პირუტყვი მოგვტაცეს. ამას წინათ ადმინისტრაციული შენობის ოთახებიც გატეხეს და ძვირადღირებული და დეფიციტური კვანძები მოგვპარეს. ერთი სიტყვით, დაუსჯელობის სინდრომმა ბანდიტებს ფრთები შეასხა.

გარდაბნის რაიონში, რომელიც თბილისისა და რუსთავის ხორცის ძირითადი მომწოდებელი იყო, ამჟამად ყველა ფერმა გაძარცვულია, დატაცებულია პირუტყვის 70 პროცენტზე მეტი. რამდენიმე დღის წინათ ერთიანად გაიძარცვა გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის მეღორეობის ფერმა. ბევრმა ფერმამ, კომპლექსმა მთლიანად შეწყვიტა მუშაობა, პირუტყვის ნასახიც აღარ არის. სამწუხაროდ, ფერმებზე თავდასხმების არც ერთი შემთხვევა არ არის გახსნილი. რაიონის პოლიცია ამ საქმეში განსაკუთრებით უძლურებას იჩენს.

გამონაკლისი არც სხვა რაიონებია. ასეთებია გორი, ხაშური, კასპი, მცხეთა... პირუტყვის დატაცება დიდია ახმეტის, ყვარლის, დუშეთის, ყაზბეგის, ახალგორის რაიონების საზოგადოებრივ მეურნეობებში. აქედან ცხვარი ჩრდილო კავკასიაში გადაჰყავთ, იქ ქართველებს ფეხს არ ადგმევინებენ.

არავინ იფიქროს, რომ პირუტყვის დატაცებამ ეროვნება იცოდეს, ბანდიტი ბანდიტია. ამას ქართველებთან ერთად არც სხვა ეროვნების მოქალაქენი თაკილობენ. საგარეჯოს რაიონში მოქმედებს აზერბაიჯანელ ყაჩაღთა ჯგუფი. მათ დიდძალი ნახირი გაიტაცეს და აზერბაიჯანში გადაირეკეს. საგარეჯოს რაიონის პოლიცია ვერას გახდა.

საქართველო ახლა უფსკრულშია. გასაძარცვავი თითქმის აღარაფერი დარჩა. განადგურდა საუკუნეებით შექმნილი და დაგროვილი. უმძიმესი ზარალი დაატყდა მეცხოველეობასაც. მარტო ორიოდე ფაქტს მოვიშველიებ: გარდაბნის რაიონის ჯანდარის მეცხოველეობის კომპლექსში ერთ დროს, როცა საწარმოს სათავეში ავთანდილ მარგიანი იდგა, 28-30 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი იყო, საპროექტო სიმძლავრე, რაც სახელმწიფოსათვის 4 ათასი ტონა ხორცის მიყიდვას ითვალისწინებდა, უკან მოიტოვეს და სახელმწიფოს 5 500 ტონა ხორცი მიჰყიდეს. ახლა ამ კომპლექსში პირუტყვი ექსპონატადაც აღარ დარჩა.

დუშეთის რაიონის მეურნეობებში ცხვრის სულადობა თითქმის 15-ჯერ, ახალგორის რაიონში თითქმის 20-ჯერ შემცირდა. არადა, მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგია, რომლის აღორძინებას 4-5 წელიწადი მაინც სჭირდება. ქვეყანას, რომლის სახნავი კარგა ხანია დაიცალა, არც ამის საშუალება აქვს.

რა ვიღონოთ? ვინ იხსნის საქართველოს განსაცდელისაგან? როგორ დავაღწევთ თავს შიმშილს, თუ პირუტყვი ასე იტაცეს, ასე ანადგურეს?

ეს კითხვები ჯერჯერობით პასუხგაუცემელი რჩება.

დავით გიწაძე.

ოპტიმიზმი — სტუმარ-მასპინძლის მეგზური

სასურველია ქართველთა შობადობას ასოციაცია-ფირმა-საზოგადოებების შექმნა-დაფუძნება—დაბადების კოეფიციენტი ამშვენებდეს, მაგრამ რაკი ეს უკანასკნელი დღითიდღე იზრდება, ჩვენც ამჯერად მისკენ მივაპყროთ ყურადღება.

სტუდენტთა და ახალგაზრდა მეცნიერთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „განმანათლებელი“, რომელიც ახლახან დაფუძნდა, თავის არსებობას საუნივერსიტეტო ფონდისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მერანის“ პრეზიდენტს ზურაბ კვანტრიშვილს უმადლის.

ჩვენი ორგანიზაციის მიზანია რეგულარულად, ქვეყნის მასშტაბით, საგანმანათლებლო აქციების მოწყობა, სადაც ახალგაზრდა მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, — თქვა „განმანათლებლის“ პრეზიდენტმა, ხელოვნებისმცოდნეობის კანდიდატმა, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის დეკანმა ზურაბ ზანგურაშვილმა. — ამ აქციებმა ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერთა პოტენციალის გამოვლენას, ეროვნებათშორისი ურთიერთობის პროგრესს, მიმდინარე რეფორმის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას.

და აი, მიზნის სარეალიზაციოდ პირველი ნაბიჯი ახალგორში, რაიონის გამგებლის ვლადიმერ ბალაშვილის თანადგომითა და მხარდაჭერით გადაიდგა.

რაიონის გამგეობის სააქტო დარბაზში შეკრებილ ახალგაზრდობასა და ინტელიგენციას ორგანიზაცია „განმანათლებლის“ არსებობის მიზანი გააცნეს და მისი მნიშვნელობა პრაქტიკულად დაუდასტურეს სტუმრებმა. ზურაბ კვანტრიშვილმა, რომელმაც რაიონის საშუალო სკოლას გადასცა სახელმძღვანელოები, სასკოლო ინვენტარი, რაიონის პედაგოგებს შემდგომშიც დახმარება აღუთქვა.

შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა გიზო ჟორდანიამ, პრორექტორებმა ვასილ კიკნაძემ და თამაზ ქვარიანმა, ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგებმა მიხეილ კალანდარიშვილმა, სოსო გობეჯიშვილმა, გიორგი ყაჯრიშვილმა და სხვებმა თავის გამოსვლებში ხაზი გაუსვეს ეკონომიკასა თუ განათლებაში რეფორმების განხორციელების, ბიუჯეტისა თუ სულიერების დეფიციტის შევსების აუცილებლობას.

სოფელსა და ქალაქს ერთნაირად უჭირს და ამ გასაჭირის დასაძლევად ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო. მთავარია სიყვარული და ოპტიმიზმი იყო ჩვენი მეგზური, — დაასკვნა სტუმარ-მასპინძელმა.

ლეილა კოშკაძე.

სარედაქციო ფოსტიდან

საჭიროა მეტი სიფრთხილე

გაზეთ „იბერია-სპექტრში“ (18-19 ივლისი, 1994 წელი) გამოქვეყნდა ინტერვიუ ზვიად გამსახურდიას დაცვის ყოფილ წევრთან ვინმე გ. კეკენაძესთან სათაურით — „პრეზიდენტ გამსახურდიას უკანასკნელი დღეები“.

ვერ შევუდგები იმის სრულად გარკვევას, რამდენად შეესაბამება სიმართლეს გ. კეკენაძის ნაამბობი, მაგრამ მის ინტერვიუში თუ სხვა დანარჩენიც ისე „ობიექტურად“ არის გაშუქებული, როგორც ლანჩხუთის მოვლენები, მაშინ არა გვგონია ხსენებული ინტერვიუ ამ ეპოქის მეისტორიეთათვის რამდენადმე მაინც საიმედო წყაროდ გამოდგეს. სიცხადისათვის მოვიტან ნაწყვეტს გ. კეკენაძის საუბრიდან: „ლანჩხუთში ადგილობრივი მხედრიონის უფროსი მოვიდა პრეზიდენტთან, ახლაც მახსოვს მათი საუბარი. ბატონი ზვიადი ეკითხება: ...„ხომ გინდა, საქართველო იყოს დამოუკიდებელი?“ „დიახ!“ — პასუხობს მხედრიონელი.... „ხომ გინდა, რომ საქართველოს ჰყავდეს სამშობლოს ერთგული ჯარი, რომელიც დაიცავს მის თავისუფლებას?“ „დიახ!“ პასუხობს მხედრიონელი. „მაშინ დამიდექი გვერდით და ვიბრძოლოთ ერთად!“ — ეუბნება პრეზიდენტი. „მე მეგონა, რომ დამხვრეტდით“. თქვა მხედრიონელმა. „სად გვყავს ჩვენ დასახვრეტი ქართველი!“ — უპასუხა პრეზიდენტმა“...

ბოლო წლების საშინელებებს თუ გავიხსენებთ, ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა.

აქ არ შევჩერდები ხელოვნურობასა და ყალბ ტონზე, ამ დიალოგის ყოველი ფრაზიდან რომ გამოსჭვივის. ვიტყვი მხოლოდ— ზვიად გამსახურდია ლანჩხუთში მართლაც შემოჰყვა თავის მომხრეებს, თუმცა, ბევრ ლანჩხუთელს დღესაც არ სჯერა, რომ ჩვენს ქალაქში ნაპრეზიდენტალი იყო ჩამოსული და არა მისი ორეული. რას იზამ, ლეგენდების ეპოქაში ვცხოვრობთ — ზოგიერთებს მისი სიკვდილი ჯიხასკარში დასაფლავება და მერე გროზნოში გადასაფლავებაც ვერ დაუჯერებია.

ჩვენ, ლანჩხუთელ მოხალისეთა ერთი ჯგუფი, იმ დროს მხედრიონთან ერთად მაღალმთიან სოფელ ორაგვეში ვიყავით გამაგრებული (დაახლოებით ას კაცამდე). მხედრიონელთა უფროსი არჩილ ხოფერიაც იქ იყო და რომ იტყვიან, ერთი წუთითაც არ მიუტოვებია ბანაკი. ამდენად, ზ. გამსახურდიასა და ლანჩხუთის მხედრიონის უფროსს შორის არავითარი შეხვედრა და დიალოგი არ ყოფილა. კეკენაძეს, როგორც ჩანს, რაღაც-რაღაცეები ერთმანეთში აერია, ან ყველაფერი ეს მისი ფანტაზიის ნაყოფია.

ორიოდე სიტყვა მინდა ვთქვა იმის გამოც, რომ თითქოს, როგორც ამას იგივე გ. კეკენაძე ამბობს, ექსპრეზიდენტის მომხრეები ლანჩხუთში უომრად და მშვიდობიანად შევიდნენ. ესეც მტკნარი სიცრუეა. სანამ ისინი ლანჩხუთში შემოვიდოდნენ, საკმაო მძიმე ბრძოლები იყო სოფელ გრიგოლეთთან (მაშინ დაიღუპა მხედრიონის წევრი რამინ ჟორდანია), სოფელ ჯაპანასთან დაიღუპნენ ვასო ხაბულიანი, დათო ლაპიაშვილი, შოთა თავაძე და ორი თბილისელი მეკავშირე.

შეიძლება ყოველივე ამის შემდეგ კიცხვა თქვას, რომ ექსპრეზიდენტის მომხრეები ლანჩხუთში მშვიდობიანად შევიდნენ?! უბრალოდ, აქ იყო ერთი ასეთი დეტალი: ზ. გამსახურდიას მომხრეთა მიერ სამტრედიის აღების შემდეგ ლანჩხუთი დაუცველი რჩებოდა; რაიონში მყოფი ძალებით მოწინააღმდეგის შეჩერებას ვერ შევძლებდით, ამის გამო, ადგილობრივი მხედრიონის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამაგრებულიყო რაიონული ცენტრიდან სამი-ოთხი კილომეტრის დაშორებით, სოფელ ორაგვეში და დალოდებოდა შესაფერ მომენტს შეტევაზე გადასასვლელად, რაც სამი დღის შემდეგ კიდეც განხორციელდა. რაიონის ცენტრი უბრძოლველად ტაქტიკური მოსაზრებით დავთმეთ და არა იმიტომ, რომ თითქოს იქაურები მოუთმენლად ელოდნენ ზ. გამსახურდიას უდღეურ ხელისუფლების აღდგენას. ამას გარდა, ლანჩხუთელები კიდევ ერთხელ მოერიდნენ ორივე მხრიდან ზედმეტ სისხლისღვრას და სხვა გაუთვალისწინებელ, არასასურველ შედეგებს...

სიყალბეში მრავალგზის მხილებული გაზეთი „იბერია-სპექტრი“ მომავალში, ალბათ, მეტ სიფრთხილესა და თავდაჭერილობას გამოიჩენს ამგვარი მასალების გამოქვეყნების დროს და ლანჩხუთელ მხედრიონელთა მსგავსად, რომელთა ნახევარზე მეტი აფხაზეთში დაიღუპა, სხვებსაც არ ჩააყენებს უხერხულ მდგომარეობაში.

თვით გ. კეკენაძეს ვურჩევთ, სხვა დროს მაინც ნუღარ შეეცდება მკითხველთა შეცდენას, პრესის ფურცლებზე მსგავსი ნაყალბევის გამოქვეყნებას.

კუკური კუკულაძე,
აფხაზეთის ომის მონაწილე.

ზოია ჩაჩუას ფენომენი

დედამიწაზე რა ხდება, ისინი იმასაც კი ხედავენ და მანძილზე აზრებს კითხულობენ, მომავალს წინასწარმეტყველებენ და წარსულს იკვლევენ, სიტყვით მკურნალობენ და თვალით კლავენ. ისინი უცნაური ადამიანები არიან. რატომ? ამ კითხვაზე პასუხის გაცემას დიდი ხანია ცდილობს მეცნიერება, მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ ჯერჯერობით ეს ვერ შეძლო. ამ ადამიანებს სხვადასხვაგვარ სახელებს არქმევენ: ექსტრასენსები, პარაფსიქოლოგები, გრძნეულები, მაგიები, გულთმისნები და ვინ იცის კიდევ რას.

ერთი მათგანია ზოია ჩაჩუაც — ქალაქ სამტრედიის მცხოვრები.

თუ ამ ქალს ჯადოქარს შევადარებთ, შეიძლება ეს ბანალურიც იყოს, მაგრამ როგორ არ ვუწოდოთ ჯადოქრობა იმას, რასაც იგი ავადმყოფ ადამიანს, ცხოვრებაში ამა თუ იმ სენით დაავადებულს, მასთან რჩევისა და კონსულტაციისათვის მისულ კაცს უკეთებს? იგი სვამს დიაგნოზს, სთავაზობს ყოველგვარი სენისაგან განკურნების უტყუარ საშუალებებს, ზოგჯერ კი ავადმყოფს ურჩევს კიდეც მიმართოს დახმარებისათვის ამა თუ იმ ექიმს, თუმცა, მას სპეციალური სამედიცინო განათლება არა აქვს, მაგრამ იგი „ხედავს“ სენს და განსაზღვრავს მას. მაგრამ როგორ? ეს მეცნიერებისათვის უცნობია, ზოია ჩაჩუას უნარის უგულებელყოფა არ შეიძლება.

აი, რა გვითხრა სამტრედიელმა ს. ნინუამ: „მრავალ წელიწადს მაწუხებდა ძლიერი ტკივილები ღვიძლის არეში, ვერავითარი წამალი ვერ მშველოდა, იძულებული გავხდი ზოია ჩაჩუასთან მივსულიყავი. მან დამინიშნა მკურნალობის კურსი ბიოდენების დახმარებით, რომლებიც მას ხელებში აქვს. მიღებული 15 სეანსის შემდეგ, ტკივილები მთლიანად დამიყუჩდა“. ბრწყინვალე შედეგები მოიტანა სეანსებმაც ათობით სხვა ავადმყოფზე ბიოდენების გამოყენებით, რომლებმაც ზოია ჩაჩუას მიმართეს დახმარებისათვის. მათი გვარების ჩამოთვლაც კი გაზეთის რამდენიმე სვეტს დაიკავებს. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მას შეუძლია განსაზღვროს და დიაგნოზი დაუსვას ავადმყოფს რამდენიმე წუთში. ამასთან, პროგნოზის სიზუსტე 20-დან 18-ს შეადგენს. მან ექიმთა კომისიის სპეციალური შემოწმება გაიარა, მიიღო ექსტრასენსის ოფიციალური მოწმობა და მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

არაჩვეულებრივი ჩვეულებრივის შესახებ

— ეს ბუნებით დამყვა თან, — თქვა ზოია ჩაჩუამ. — როგორც ჩემთვის არის ცნობილი, რაც დღეს თქვენ ესოდენ გაკვირვებთ, ექსტრასენსთა ბიოენერგეტიკული უნარი, იოგთა „სასწაულები“, გულთმისნობა უხსოვარი დროიდან ბევრ ადამიანს შესწევდა. ახლა ეს ფართოდ არის გავრცელებული ინდოეთში, ჩინეთში, კორეაში, ფილიპინის კუნძულებზე, აღმოსავლეთის ბევრ სხვა ქვეყანაში.

— რას ფიქრობთ ჩინურ, ფილიპინურ ქირურგიაზე? — ვკითხეთ ზოია ჩაჩუას.

— დარწმუნებული ვარ, ეს მითი არ არის. ოპერაციის ხელით გაკეთება იმას ნიშნავს, რომ ადამიანს აქვს უნარი გაკვეთოს ქსოვილი გარკვეული სიხშირის ბიოენერგეტიკული ველით. — ამტკიცებს იგი.

— თუ შეიძლება გვითხრათ, რომელია თქვენი ყველაზე დიდი მიღწევა სენის განსაზღვრასა და მკურნალობაში?

— ძნელი კითხვაა. ექსტრასენსისათვის მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ ნაბიჯს თავის შესაძლებლობათა შეცნობაში. უფრო კონკრეტულად კი, ვმუშაობ წიგნზე „როგორ გახდე ფენომენი“. ეს იქნება დამხმარე სახელმძღვანელო იმათთვის, ვისაც სურს აიმაღლოს თავისი ბიოენერგეტიკული პოტენციალი და ისწავლოს მისი რეგულირება. თუ ადამიანს შეუძლია მართოს თავისი ბიოენერგია, იგი პრაქტიკულად ავად არ ხდება.

რომან ერაძე,
საქინფორმის კორ.

მთავარჰიდრომეტიდან გვატყობინებენ

ამინდი ნოემბერში

დადგა შემოდგომის ბოლო თვე ნოემბერი. კლიმატური მონაცემებით საქართველოს ტერიტორიაზე ნოემბერი ოქტომბერთან შედარებით საშუალოდ 4-8 გრადუსით უფრო ცივია. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში მერყეობს 10-დან 13 გრადუსამდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და რესპუბლიკის მთიან რაიონებში 3-დან 8 გრადუსამდე, მაღალმთიან რაიონებში 3 გრადუსი სითბოდან 2 გრადუს ყინვამდე. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი დაბლობ რაიონებში აღწევს 25-30 გრადუსს, აბსოლუტური მინიმუმი კი დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში იკლებს 1-9 გრადუს ყინვამდე, ქართლის ვაკესა და კახეთში 15-18 გრადუს ყინვამდე (შირაქის ველზე 20-25 გრადუს ყინვამდე).

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში მერყეობს 80-დან 230 მმ-მდე (აჭარის სანაპირო რაიონებში 240-300 მმ-ის ფარგლებში.), აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის უმეტეს ნაწილზე კი 30-დან 60 მმ-მდე.

ამინდის გრძელვადიანი პროგნოზის მიხედვით მიმდინარე წლის ნოემბერი ტემპერატურული რეჟიმის მიხედვით დიდად არ იქნება განსხვავებული ჩვეულებრივისაგან. ჰაერის თვის საშუალო ტემპერატურა მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ მნიშვნელობასთან ახლოს (ვარე კახეთში 1 გრადუსით მასზე მაღალი).

შედარებით ცივი ამინდები მოსალოდნელია თვის მეორე ნახევარში, როცა ტემპერატურამ შესაძლებელია დაიკლოს ღამით დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 2-7 გრადუს სითბომდე, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში და რესპუბლიკის მთიან რაიონებში 1-6 გრადუს ყინვამდე, მაღალმთიან რაიონებში 8-13 გრადუს ყინვამდე.

ამინდი

ნალექების რაოდენობა დასავლეთ საქართველოში და მესხეთ-ჯავახეთში მოსალოდნელია საშუალო მრავალწლიურ რაოდენობაზე მეტი და ზოგან მასთან ახლოს, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში — მასზე ნაკლები.

ამინდის პროგნოზით ნოემბერში ციტრუსებისათვის საშიში ტემპერატურა მოსალოდნელი არ არის და ნაყოფის კრეფაც არ უნდა შეფერხდეს. მცენარეს მომზადება გამოსაზამთრებლად ამინდის დამაკმაყოფილებელ პირობებში მოუხდება.

აღმოსავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურის მყარი გადასვლა პლუს 5 გრადუსს ქვევით ნავარაუდევი არ არის, ამიტომ საშემოდგომო მარცვლეული კულტურების ვეგეტაციისათვის სითბო საკმაო იქნება. მიუხედავად იმისა, რომ ნალექები მცირე რაოდენობითაა მოსალოდნელი, გვიან ვადებში ნათესი პურეულის დროული აღმოცენებისათვის ნიადაგის სახნავ ფენაში ტენის პროდუქტიული მარაგი საკმაო იქნება.

ნოემბერში საქართველოს მდინარეთა წყლიანობა კვლავ დაბალი იქნება. წყალსაცავებში არსებული წყლის მარაგი კი მნიშვნელოვნად შემცირდება.

ოქტომბერში თბილისში ჰაერის გაჭუჭყიანების დონე საშუალო მრავალწლიურის ფარგლებში იყო. მაღალი და ექსტრემალურად მაღალი გაჭუჭყიანება არ აღინიშნულა.

სპორტი

ევროპის სტადიონებზე

გთავაზობთ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის მეოთხე რაუნდის შედეგებს:

„ა“ ჯგუფი

„ბარსელონა“ (სტოიჩკოვი — 2, რომარიო, ფერერი) — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 4:0, „გალათასარაი“ — „გეტებორგი“ (ენგილმარკი) 0:1.

„გეტებორგი“ — 6, „ბარსელონა“ — 5, „მანჩესტერ იუნაიტედი“ — 4, „გალათასარაი“ — 1 ქულა.

„ბ“ ჯგუფი

„ბაიერნი“ (ნერლინგერი, კოუფერი) — „სპარტაკი“ (ტიხონოვი, ალენიჩევი) 2:2, „პარი სენ-ჟერმენი“ (ვეა) — „დინამო“ 4:0.

„პარი სენ-ჟერმენი“ — 8, „ბაიერნი“ — 4, „დინამო“ და „სპარტაკი“ — 2-2 ქულა.

„ც“ ჯგუფი

„ანდერლეხტი“ — „ჰაიდუკი“ 0:0; „სტიაუა“ (პანდურუ) — „ბენფიკა“ (ჰელდერი) 1:1.

„ბენფიკა“ და „ჰაიდუკი“ — 6-6, „სტიაუა“ და „ანდერლეხტი“ — 2-2 ქულა.

„დ“ ჯგუფი

„მილანი“ (პანუჩი — 2) — „აეკი“ (სავევსკი) 2:1, „აიაქსი“ (ლიტმანენი) — „კაზინო“ (კოციანი) 1:1.

„აიაქსი“ — 6, „მილანი“ და „კაზინო“ — 3-3, „აეკი“ — 2 ქულა.

ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტურის მატჩები 23 ნოემბერს გაიმართება.

მეოთხედფინალში ითამაშებენ...

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს თასის გათამაშების საპასუხო მერვედფინალური შეხვედრები. მათი შედეგები ასეთი გახლავთ: **ბათუმის „დინამო“** — „კახეთი“ 3:0 (პირველი მატჩი — 2:4), „დილა“ — **სამტრედია** 1:1 (1:4), „დურუჯი“ — **„მეტალურგი“** — 0:4 (0:1), „ივერია“ — **„საპოვნელა“** 3:3 (1:1), **„ქიზიყი“** — „ტორპედო“ 3:0 (1:2), **ზუგდიდის „დინამო“** — „ანცი-ზონვეტი“ 3:0 (1:1), „აზოტი“ — **„გურია“** 1:0 (1:4).

ამ წყვილებში გამარჯვებულებთან ერთად გაისად გაზაფხულზე მეოთხედფინალში ითამაშებს თბილისის „დინამო“.

შემუშავებული გვაქვს პროსტატიტის (წინამდებარე ჯირკვლის ანთება) მკურნალობის ორიგინალური და ძალზე ეფექტიანი მეთოდი, რომლითაც ვიძლევით განკურნების სრულ გარანტიას.
მიღება ბინაში 10-დან 17 საათამდე ყოველ დღე.
მისამართი:
ზემო ვეძისის დასახლება, ბინა 11
(ბუდაპეშტისა და სიმონ ჩიქოვანის ქუჩების გადაკვეთა, ლისის ტბისკენ მიმავალი გზის პირველ მოსახვევთან).
ტელ: 39-58-08, 39-35-63
ექიმი თემურ ვახტანგის ძე ხელაძე

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]
[illegible]